# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 15 მარტი 1996 № 20 (245) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეხბურთი დაიწყო

**შევარდენი 0:2 მეტალურგი**

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, ქველაძე, კვიტატიანი, გოგოლაძე, მელქაძე, კანკავა, მოსულიშვილი, გოდერძიშვილი, დათვაძე (ქანთარია 85), მინდიაშვილი

მეტალურგი: დოლიძე, სილაგაძე, ყაველაშვილი, არჩვაძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი (კედელაშვილი 76), ჩალაძე, პერტია (ტარტარაშვილი 46), მეტრეველი, ალადაშვილი

0:1 ჩალაძე (14), 0:2 ზირაქიშვილი (63)

გაფრთხილება: რეხვიაშვილი

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

სასტარტო მატჩის კვალობაზე თამაში საკმაოდ ცოცხალი და საინტერესო გამოდგა. შევარდენელებმა ახალშემატებული კვიტატიანი და მელქაძე ათამაშეს. რაც შეეხება ჯიქიას, იგი ავსტრიის „ლასკს" კი გაუთავისუფლებია, მაგრამ ჯერჯერობით სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოსულა და მის მოლოდინში მამიას სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა. „მეტალურგმაც" გამოიყვანა ორივე დებიუტანტი, „აზოტიდან" გადმოყვანილი სილაგაძე და კედელაშვილი, თანაც გამოჯანმრთელებული თევზაძე და მეტრეველი დაიმატა და მასპინძლებს ბრძოლა გაუმართა.

„შევარდენი" ორივე ტაიმის განმავლობაში შეტევას ცდილობდა, ამას კი რუსთაველებმა ორგანიზებული დაცვა, მწვავე კონტრშეტევა დაუპირისპირეს და იხეირეს კიდეც. თამაშის დასაწყისში ზირაქიშვილის ჩაწოდებულს ჩალაძემ თავი დაუხვედრა და მასპინძელთა მეკარე და დაცვა ხახამშრალი დატოვა. სამი-ოთხი საგოლე მომენტი „შევარდენსაც" ჰქონდა, მაგრამ გოგოლაძის, დათვაძის და მოსულიშვილის დარტყმები მიზანს სცდებოდა. თამაშმა დაგვანახა, რომ მასპინძლებს აშკარათ აკლიათ კარზე დაგეშილი თავდამსხმელი.

მეორე ტაიმში სტუმარმა ზირაქიშვილმა თავისი გუნდის მონაგარს კიდევ ერთი გოლი დაუმატა და გულდამშვიდებულმა დაუთმო ადგილი მინდორზე კედელაშვილს. სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გაეტანათ, მაგრამ მასპინძელთა გოლკიპერი მოთამაშეების მედგრად დაუხვდა და ორი ძნელი ბურთი მოიგერია. სხვა საინტერესო და საყურადღებო არაფერი მომხდარა და მსაჯმაც თამაში მშვიდობიანად დაასრულა.

თამაშის მერე მურთაზ ხურცილავა უხასიათოდ გახლდათ და კომენტარისთვის არლარც შეგვიწუხებია, რეზო ძოძუაშვილმა კი ეს მოგვახსენა:

— საინტერესო მატჩი მოვიგეთ და, ცხადია, გვიხარია. „შევარდენი" ახალგაზრდული გუნდია და მონდომებით იბრძოლა, მაგრამ ფეხბურთელებს შეთამაშება აკლიათ, „მეტალურგი" კი პირიქით, უფრო გამოცდილია, ბიჭები რა ხანია ერთად თამაშობენ, ერთმანეთისაც უსიტყვოდ ესმით. მათი თამაშით დღეს კმაყოფილი ვარ.

**ეგრისი — დინამო 1:3**
**გურია — ბათუმი 1:0**
**კახეთი — ზუგდიდი 2:1**
**იბერია — ტორპედო 1:1**
**მარგვეთი — დილა 1:1**
**დურუჯი — კოლხეთი 1:3**
**სიონი — სამტრედია 0:3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 12 | 3 | 1 | 50-9 | 39 |
| სამტრედია | 16 | 12 | 3 | 1 | 57-20 | 39 |
| კოლხეთი | 16 | 11 | 2 | 3 | 41-23 | 35 |
| მარგვეთი | 16 | 11 | 1 | 4 | 45-16 | 34 |
| მეტალურგი | 16 | 11 | 0 | 5 | 35-19 | 33 |
| ტორპედო | 16 | 9 | 4 | 3 | 38-18 | 31 |
| ბათუმი | 16 | 9 | 4 | 3 | 32-15 | 31 |
| დილა | 16 | 8 | 3 | 5 | 28-25 | 27 |
| შევარდენი | 16 | 6 | 1 | 9 | 24-31 | 19 |
| კახეთი | 16 | 5 | 3 | 8 | 16-32 | 18 |
| ეგრისი | 16 | 4 | 2 | 10 | 27-37 | 14 |
| იბერია | 16 | 4 | 2 | 10 | 15-31 | 14 |
| ზუგდიდი | 16 | 4 | 1 | 11 | 25-44 | 13 |
| სიონი | 16 | 4 | 0 | 12 | 15-34 | 12 |
| გურია | 16 | 3 | 0 | 13 | 13-45 | 9 |
| დურუჯი | 16 | 0 | 1 | 15 | 5-63 | 1 |

# გიორგი ქინქლაძე ევროპის ნაკრებში!

**ევროპის ავტორიტეტულმა საფეხბურთო გამოცემებმა ტრადიციულად კონტინენტის თვის სიმბოლური ნაკრები შეადგინეს და პირველად მასში ქართველი ფეხბურთელი შეიყვანეს. ცხადია, ეს ქართველი გიორგი ქინქლაძეა. რვა გამოცემიდან ოთხმა იგი თავის ამპლუაში საუკეთესოდ მიიჩნია. გიო ირჩიეს „უორლდ სოკერმა", შვეიცარულმა „შპორტმა", ჰოლანდიურმა „ფუტბოლმა" და ბელგიურმა „ფუტმა". ამათ გარდა გამოკითხვაში მონაწილეობდნენ პორტუგალიური „ბოლა", ესპანური „დონ ბალონი", ფრანგული „ონზი" და გერმანული „კიკერი".**

## ქართველი უნდა იცნო

**ჩელსი 1:1 სიტი**

17 078 მაყურებელი

ჩელსი: პიჩკოვი, კლარკი, გულიტი, სპენსერი, პიუზი, პიკოკი (ფარლონგი 75), უაიზი, ლი, პეტრესკუ, ფილანი, დაბერი

სიტი: იმელი, ფრონცეკი, ლომასი, ქინქლაძე, ფლიტკროფტი, ბრაისველი, საიმონსი, კერნაგენი, სამერბი (მაცარელი 69), კლაფი, როსლერი

გოლი: გულიტი (22); კლაფი (43)

ტრიბუნაზე „მანჩესტერ სიტის" ქომაგთა შორის ვიჯექი, რადგან აკრედიტაცია დამიგვიანდა და პრეს-ლოჟის მიღმა დავრჩი. იმ ცივ საღამოს „სტემფორდ ბრიჯზე" მხოლოდ 17 ათასი გულშემატკივარი მოვიდა. ასე ცოტა ხალხი, რაც სეზონი დაიწყო, ლონდონის ამ სტადიონზე გამართულ მატჩს არ დასწრებია, მაგრამ ქართველების ამბავი ხომ იცით, მაინც გიოს მიერ დაჯავშნული ბილეთით შევედი. „სიტის" მოლარეს ვუთხარი, რომ ქინქლაძეს ჩემთვის ბილეთი ჰქონდა დაჯავშნული. თქვენთვის კი არა, ჩემთვისო, შემეპასუხა ვილაც. გიჟი ხომ არა ხარ-მეთქი, ჩავილაპარაკე ქართულად. გიჟი კი არა, ზაარბრიუკენელი ქართველი აღმოჩნდა, ხოლო ქინქლაძეს ორი ბილეთი მისთვისაც ჰქონია შეკვეთილი. ასე აღმოვჩნდით „სიტის" ფანებს შორის. მათთან ჯდომა სახალისო გამოდგა. ჩვენს გვერდით მოხუცი ცოლ-ქმარი, გიოს თანაგუნდელის, „ლივერპულიდან" 1,5 მილიონ გირვანქად შეძენილი ნაიჯელ კლაფის ბებია და ბაბუა აღმოჩნდნენ. უნდა გენახათ მათი აღტაცება, შვილიშვილმა გოლი რომ გაიტანა. 69-ე წუთზე კი, სამერბი „ციურიხიდან" ნათხოვარმა იტალიური წარმოშობის შვეიცარიელმა (ამ დებიუტანტის თამაში არ მომეწონა) მაცარელიმ რომ შეცვალა და მისი ვინაობა ვიკითხე, ქართველიაო, მიპასუხა ერთმა. რა ქართველი, რის ქართველი, ქართველი მე ვარ და ჩემიანს ვცნობ-მეთქი. შენ მართლა ვინა ყოფილხარ, ქართველი არაქართველისგან ველარ გაგირჩევიაო, გაუწყრნენ უვიცს სხვა მანჩესტერელები. „სიტის" კიდევ ერთი მოთამაშე, ნიკი სამერბი, ბულვარულმა პრესამ გაჭორა. გამოქვეყნდა ვილაც ქალის მონათხრობი, როგორ ათრობდა მას სამერბი და თავაშვებულ ორგიებში დაატარებდა. მერე გიოს ვკითხე, დასაჯეს თუ არა მისი თანაგუნდელი. არაო, მიპასუხა.

ამით აქეთურ-იქითური დავამთავროთ და უშუალოდ შეხვედრაზე გადავიდეთ. „ჩელსი" უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის იბრძვის, „სიტის" კი ლიგაში დარჩენა აქვს მიზნად დასახული. მანჩესტერელებს, რომელთაც სტუმრად თამაში ნხვებზე ნაკლებად ეხერხებათ (შესაძლო 42-დან 6 ქულა აქვთ მოპოვებული), ლონდონში მოგებაც კი შეეძლოთ. ეს „მეინ როუდს" გარეთ მათი მეორე გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ ქინქლაძემ თამაშის ბოლო წუთზე ბურთი ზედა ძელს მიარტყა.

პირველი ნამდვილი სახიფათო მომენტიც სტუმრებმა შექმნეს. 22-ე წუთზე გიომ საუცხოო პასი მიაწოდა უვე როსლერს, მაგრამ ფორვარდი წამით შეყოვნდა, მაიკლ დაბერიმ კი დაასწრო და „ჩელსი" იხსნა. ამ ეპიზოდს მასპინძელთა საპასუხო შეტევა და გოლი მოჰყვა. „სიტის" უკანა მცველის ფუნქცია იმ დღეს კლაფმა იტვირთა. ის კარგად ართმევდა თავს ახალ ამოცანას და მასპინძელთა თავდამსხმელებს, მიუხედავად ძალისხმევისა, ბევრი არაფერი გამოუდიოდათ. არც ნახსენები მომენტი უქადდა სტუმრებს ხიფათს, მაგრამ ერთია ჩვეულებრივი ფეხბურთელის შეტევა, გულიტისა კი სხვაა. მან ორი მეტოქე იოლად ჩამოიცილა, მესამე შემხვედრსაც ჩაუქროლა და აიკე იმელს დახვეწილი დარტყმით გაუტანა.

ცოტა ხანში „ჩელსის" ანგარიშის გაზრდაც შეეძლო. დაბერიმ მარჯვნიდან გზა გაიკაფა და ჩააწოდა, მარკ ჰიუზის გონივრული დარტყმა კი იმელმა უვნებელჰყო.

ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „სიტიმ" გაათანაბრა. კლაფმა ბურთი სტივ ლომასს გადაუგდო, ლომასმა ჩააწოდა, როსლერმა დაარტყა, ბურთი დენის უაიზს ხელზე მოხვდა, მსაჯმა თამაში არ გააჩერა, ბურთი კვლავ ლომასთან დაბრუნდა, მან კვლავ ჩააწოდა და კლაფმაც გაიტანა.

მეორე ტაიმში კლაფი ნახევარდაცვაში წაიყვანეს, მიხაილ ფრონცეკი კი მასპინძელთა რუმინელ დან პეტრესკუს მეურვედ განაწესეს. ახალ ამპლუაში კლაფმა... ინგლისის ნაკრების წევრი და „ჩელსის" კაპიტანი უაიზი მუჯლუგუნებზე გამოიწვია. მსაჯი „ლექციით" შემოიფარგლა. შემდეგ ჰიუზს კვლავ იმელმა აუღო. თავის მხრივ სამერბის კუთხურიდან ფრონცეკმა ოდნავ ააცილა. ბოლოს კი გიომ ძელს მოარტყა. თუმცა ეს თავში გითხარით.

**დავით მჭედლიშვილი**
ლონდონიდან

> თებერვლის სიმბოლური ნაკრები ასეთია:
>
> ვიტორ ბაია (პორტუგალია)
> სერხი (ესპანეთი)
> ფილიპ ალბერი (ბელგია)
> დენი ბლინდი (ჰოლანდია)
> პაოლო მალდინი (იტალია)
> ანდრეას მიოლერი (გერმანია)
> გეორგ პოპესკუ (რუმინეთი)
> გიორგი ქინქლაძე (საქართველო)
> ივან დელა პენია (ესპანეთი)
> ჯორჯ ვეა (ლიბერია)
> გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)



გიოს გამორჩევა ვერაფრით შეეწევა „სიტის" პრობლემებს, მის ქომაგებს კი ნამდვილად გაახარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუცაევის დებიუტს აზერბაიჯანში ნახავენ

ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის თქმით, გუნდი 23 მარტიდან შეიკრიბება და მოემზადება 27 მარტს აზერბაიჯანის ნაკრებთან დაგეგმილი შეხვედრისთვის, რომელიც ქალაქ თაუზში უნდა გაიმართოს. გუცაევს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია საბოლოოდ, ვინ მიიწვიოს ნაკრებში: „მანამდე საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე ტური გაიმართება, დავაკვირდები კანდიდატებს და, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, შეკრებაზეც იმათ მივიწვევ".

## ხობში გუნდი აღსდგება

აუწყა პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის სხდომაზე შეკრებილთ ხობელთა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ. მან დახმარება და თანადგომა სთხოვა ფეხბურთის ფედერაციას და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ხელეწიფება.

შეგახსენებთ, რომ ხობელები ეროვნულ ჩემპიონატში მისი დაწყებისთანავე ჩაებნენ და მეთერთმეტე ადგილი დაიკავეს. მეორეში მეთხუთმეტეზე გავიდნენ, მესამეში — მეთოთხმეტეზე. 1993 წელს კი სამოქალაქო ომმა დაშალა „კოლხეთი"...

## ცხინვალელებს ჩვენთან თამაში მოსურვებიათ

როგორც სამაჩაბლოელმა დეპუტატმა გიორგი ქოქიშვილმა განაცხადა, ცხინვალელ ოსებს ამის დიდი სურვილი აქვთ. თავის დროზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელმა ამგვარ თხოვნაზე მათ უარი შემოუთვალა. დეპუტატის აზრით, „ურიგო არ იქნება, თუ ცხინვალელთა გუნდს სახელმწიფო დაეხმარება, ფეხბურთის ფედერაცია კი მას I ჯგუფში თამაშის უფლებას მისცემს. ეს ფაქტი ხომ პოლიტიკურ ელფერს შეიძენს და ორი ხალხის შერიგების საქმეში დიდ როლს შეასრულებს. ამ შემთხვევაში სპორტულ ფაქტორს მეორეხარისხოვანი როლი უნდა მივანიჭოთ".

## საქართველოს თასი

### სამტრედია 2:0 ტორპედო

სამტრედია: დოლაბერიძე, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჩომახიძე, ტყავაძე (რუხაძე 70), დარასელია, ჩხაიძე

ტორპედო: მამარდაშვილი, შეყრილაძე (სადილიანი 46), ჩხაბერიძე, თურმანიძე, ვოსკანოვი, გიორგობიანი, კვეტენაძე (მეგრელაძე 62), ჩხეტიანი, ჯინჭარაძე, აშვეთია, ნოზაძე (ვაჩიბერაძე 57)

1:0 დარასელია (42), 2:0 გოგიაშვილი (55)

გაფრთხილება: შეყრილაძე, გიორგობიანი

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### ბათუმი 4:0 შსს აკადემია

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, კანტიძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, დ. მახარაძე (უჯმაჯურიძე 46), მინდაძე

აკადემია: ჩაჩიბაია, გაგუა, ჭანკოტაძე, ქუთათელაძე, კარიაული, მოსიაშვილი, კოჩაძე (მეტრეველი 80), ჯულელი (ნოდარიძე 46), ტილკავაშვილი, ყიფიანი, ჭოლოკავა

1:0 კანტიძე (41), 2:0, 3:0, 4:0 მაჭუტაძე (55, 78, 81)

გაფრთხილება: გაგუა

მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

### მარგვეთი 1:0 კოლხეთი

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, უვანია, გაბრიჭიძე, ლონლაძე (გენაძე 60), მორგოშია, კაკუბავა, ქებაძე (ლანჩავა 63), ნიკლაური, კიკნაძე, ენდელაძე

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, ხუჯაძე, არზიანი (ბულუხია 70), ლალანიძე (ინიაშვილი 30), კიკლიაშვილი, ამბიძე (ტორჩინავა 46), გიორგაძე, გაბისონია, ქობულაძე

1:0 კაკუბავა (85)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

## არჩიკო პედლებს ატრიალებს

ახალჩაძინებული ტელეფონის გაბმულმა „საერთაშორისო" ზარმა გამაღვიძა, არჩილ არველაძის ხმა უმალ ვიცანი.



— არჩილ, როგორ ხარ, მუხლი როგორ გაქვს?

— დრენაჟის მილი უკვე ამომილეს, ყავარჯნებით დავდივარ კიდეც, ოღონდ ნაოპერაციევ ფეხს თამამად ვერ ვაბიჯებ: ექიმმა, 20 კილოგრამზე მეტი დატვირთვა ამ ფეხზე ჯერ არ შეიძლებაო.

— საავადმყოფოში კიდევ დიდხანს დარჩები?

— რის საავადმყოფო, რა ხანია გამოვეწერე. ახლა რეზიკოსთან ვცხოვრობ და ექიმს ყოველდღე თავად ვაკითხავ სარეაბილატაციო ცენტრში, რომელიც ნემსაძის სახლის მახლობლადაა.

— ველოსიპედის პედლებს უკვე ატრიალებ?

— ექიმის რჩევით ჯერ მხოლოდ მცირე მანძილზე დავსეირნობ ველოსიპედით, მალე მეტის ნებასაც მომცემენ.

— ვარჯიშს როდის დაიწყებო, ექიმმა?

— ერთ-ორ თვეში ფუნქციები ალბათ სრულად აღმიდგება. ექიმმა მითხრა, ზუსტად კახი ცხადაძისნაირი ოპერაცია გაგიკეთდაო. ჩემი ბედი რა ვთქვი, ზოგი ისე ამთავრებს კარიერას, ტრავმა რა არის, არ იცის, მე კი ურთულეს ოპერაციას უკვე მეორედ მიკეთებენ მარჯვენა ფეხის მუხლზე. მითხრეს, შენი ოპერაცია ძალიან იღბლიანი იყოო, აღდგენის პროცესიც დაჩქარებულად მიდის, რაც მკურნალების თქმით, ორგანიზმის სიჯანსაღის ნიშანია. თუ კარგად ჩაიარა, ასეთი ოპერაციის შემდეგ, როგორც წესი, 5-8 თვეში უბრუნდებიან მინდორს, მე კი ამას ალბათ ექვს თვეში შევძლებ, თუმცა, იმასაც მეუბნებიან, შესაძლოა, უფრო ადრეც გამოჯანმრთელდეო.

— თბილისში როდის ჩამოხვალ?

— 20 აპრილამდე აქ ვიქნები, იმ დროისთვის სტაციონალური მკურნალობა დამთავრებული მექნება და უკვე სირბილიც შემეძლება. თბილისისკენ ამის მერე გამოვწევ...

— შენი ძმა, ნემსაძე და ჩხეიძე როგორ არიან?

— გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოიგეს, სამივემ კარგად ითამაშა, რეზიკომ ლამაზი გოლი შეაგდო და...

...აქ დენიც გამოირთო და ტელეფონიც დადუმდა. კარგა ხანს ველოდე ტელეფონის ჩართვას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ...

მამუკა კვარაცხელია

## „კახეთს" გამგებელი შეეშველა

ამ ერთი თვის წინ, როდესაც პირველი წრის შედეგების შეჯამება ვთხოვეთ, თელავის „კახეთის" მთავარი მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი, ბუნებრივია, თავისი გუნდის სატკივარზეც გვესაუბრა. საბედნიეროდ, ამ საუბრის შემდეგ ვითარება სასიკეთოდ შეცვლილა: გუნდის პატრონობა რაიონის ხელმძღვანელობას უკისრია და „კახეთის" მწვრთნელსაც იმედი გასჩენია.

— მზადება 15 თებერვლიდან დავიწყეთ. პირობების მხრივ, გრანდიოზული არა, მაგრამ ძალიან დიდი ცვლილებებია — ფაქტიურად, მთელი ქალაქი ფეხზე დგას, რაც მედიკო მეზვრიშვილის და ჩვენი პრეზიდენტის გოჩა მამაცაშვილის დამსახურებაა. ისეთი თანხები გამოგვიყვეს, თელავს არ ახსოვს, გუნდისთვის საჭირო ყველა პირობა შეგვიქმნეს. გარდა ამისა, დაიწყო სტადიონის, ბაზის და ფეხბურთელთა საცხოვრებლის რემონტი. ჩვენთვის სტადიონის მორწყვაც პრობლემა იყო და ესეც მოგვარდა. მოედნის საფარი მოუვლელობის გამო ცუდ დღეშია, მაგრამ ახლა ამასაც მოვუვლით. ამჟამად მზადების ბოლო ეტაპს გავდივართ. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, მზადება ადრე დაგვეწყო და მეტი მოგვესწრო. ახლა ფორსირებული წვრთნით გვიწევს დაკარგულის ანაზღაურება და აკი ოთხი მოთამაშეც დაგვიშავდა.

— თქვენი ნათქვამი მაფიქრებინებს, რომ წელს „კახეთს" დარჩენის პრობლემა არ შეექმნება, გაისად კი უფრო დიდ მიზნებსაც დაისახავთ...

— ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად გვსურს და ქალაქის ხელმძღვანელობამაც იგივე გვთხოვა. ამ ხალხმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება რომ არ აინტერესებდეთ, არც წამოიწყებდნენ რემონტს, რომელიც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ორი თვის ხელფასებიც გაგვისტუმრეს, უამრავი პრობლემის მოგვარებას შეგვპირდნენ და ეჭვი აღარ მეპარება, რომ შეასრულებენ კიდეც.

გუნდს ალბათ, ნაბიჯ-ნაბიჯ გავაძლიერებთ. ადგილობრივებით ძლიერი გუნდის ჩამოყალიბების პერსპექტივა თელავში ჯერ არ არის, ამიტომ ნაწილობრივ ჩამოყვანილ მოთამაშეებსაც შევიმატებთ.

სხვათა შორის, ისიც მაიმედებს, რომ ბოლო დროს თელავში ძალზე გამოცოცხლდა ბავშვთა ფეხბურთი.

— რა თქმა უნდა, არ ვადარებ, მაგრამ ათი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, ვლადიკავკაზში ფეხბურთის ასეთი ბუმი თუ იქნებოდა...

— ეს ზოგადი, საერთო სურათია — თუ ქალაქის ხელმძღვანელს ფეხბურთი არ აინტერესებს, ძნელად რომ რაიმე გამოვიდეს. ეს ჩემს თავზე გამოვცადე. გუნდში 1993 წლიდან ვარ. მას შემდეგ თელავში სამი გამგებელი გამოიცვალა. რაც მედეა მეზვრიშვილი მოვიდა, ყველაფერს უკეთესობა დაეტყო. ქალაქის ხელმძღვანელი გუნდის გასაჭირის გამზიარებელი უნდა იყოს. ჩვენს გამო ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს პრობლემებიც დაემატა, კრებაზე ამა თუ იმ ადამიანს „კახეთის" დახმარებას რომ დაავალებდა, ბევრი ამას შემდეგ ივიწყებდა.

სხვათა შორის, აქ დიდი გამოხმაურება მოჰყვა „სარბიელში" გამოქვეყნებულ ჩვენს ერთი თვის წინანდელ საუბარს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა გუნდს რეგიონის გენერალური პროკურორი და მილიციის უფროსი კურირებენ. ისინი რომ ამბობენ, აკეთებენ კიდეც: რემონტი დავიწყოთო და დაიწყეს. ღამის ცხრა-ათ საათამდე გრძელდება სამუშაოები. ხარისხიც ნორმალურია. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ჩვენს გუნდში ასეთი რამ ხდება, მაგრამ ისიც ძალიან გამიხარდება, თუ საქართველოს ნებისმიერ გუნდსაც ამნაირადვე შეეშველებიან.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სადღეისოდ თქვენც ხომ არ გემუქრებათ იგივე საფრთხე, რაც რუსთავის გუნდებს — სავარჯიშო მოედნის არქონას და ამის გამო სანქციებს ვგულისხმობ...

— არც ჩვენ გვილხინს, მაგრამ ვიჭირვებთ. თითქმის ყველა სავარჯიშო მოედანი უპატრონობისაგან გაუვარგისებულია, ამიტომ სპორტსკოლის სტადიონზე ვვარჯიშობთ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ამასობაში ცენტრალური სტადიონის ბალახის საფარს ვაწესრიგებთ. მოკლედ, რუსთავის ვარიანტი თელავში გამორიცხულია.

მერაბ მამუ[illegible]შვილი

პირველ ეროვნულ ჩემპიონატში 150-მდე გუნდი ჩაება, მათ შორის ბევრი სოფლისა გახლდათ. დასავლეთში მარტო მარტვილის რაიონს სამი გუნდი ჰყავდა: ლეხაინდრაოს, დიდი ჭყონისა და ჭყონდიდის. კახეთის გუნდები კიდევ უფრო მეტი იყო — ვაზისუბნის, ვარდისუბნის, ნაფარეულის, ჭაბუკიანის; ყველა მათგანს ვერც ჩამოთვლით. გავიდა ექვსი წელი და ერთადერთი სოფლის გუნდი, რომელიც ჩემპიონატს შემორჩა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის გუნდია. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ თვითონ ლაგოდეხის გუნდი დაიშალა, ჭაბუკიანელებმა კი შეძლეს გუნდის შენარჩუნება. ამ სოფელში ფეხბურთის საარაკო სიყვარულის მოწმე თავადაც არაერთხელ ვყოფილვართ. დრო იყო, „ჭაბუკიანში" რუსი ლეგიონერიც ჰყავდათ — ალექსანდრე მიხეევი. მოკლედ, სოფელში მუდამ სჩქეფდა საფეხბურთო ცხოვრება. შედეგიც სახეზეა: ჭაბუკიანმა გუნდი შეინარჩუნა. ლომის წილი ამაში მის უცვლელ მწვრთნელს, რობერტ ბერუაშვილს მიუძღვის. სწორედ ასეთი ფანატიკოსების წყალობითაა, პროვინციაში ფეხბურთი რომ არ ჩამკვდარა. სპეციფიკის გამო, მეორე ჯგუფი ხშირად რჩება „სარბიელის" ყურადღების მიღმა, მაგრამ „ჭაბუკიანისთვის" და ბერუაშვილისთვის ეს ყურადღება, დაგვეთანხმებით, ალალია...

— ჩვენი გუნდი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებისთანავე შეიქმნა და მას შემდეგ მუდამ მეორე ჯგუფში გამოდის. ჩვენი პრინციპი ყოველთვის გუნდის ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტება იყო და დღესაც ერთადერთი არაჭაბუკიანელი გვყავს — თბილისელი ირაკლი გაბელაია. ისიც იმდენი წელია ჩვენთან თამაშობს, მოწვეულად აღარც ითვლება. გარდა იმისა, რომ საკუთარი აღზრდილებით ვარსებობთ, პირველი ჯგუფის გუნდებსაც ვამარაგებთ ფეხბურთელებით: რუსთავის „მეტალურგში" ჩვენებური მურად ყაველაშვილი და ზურაბ ფოფხაძე გამოდიან, ადრე მერაბ გაფრინდაშვილიც იქ თამაშობდა, თამაზ პაქსაშვილი და მამუკა ყანწაშვილი ყვარლის „დურუჯში" არიან, ახლახან ზესტაფონის „მარგვეთში" მიიწვიეს ლევან ქებაძე, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატიცაა...



### ერთადერთი გადარჩენილი

ერთი პერიოდი საქმე მართლაც აწყობილი გვქონდა, მერე კი გაგვიჭირდა. მეოთხე წელია, ყველა პრობლემა ერთ კაცს — გუნდის პრეზიდენტს აკაკი კაპანაძეს აწევს კისერზე. იგი რომ არა, ბევრი პრობლემა პრობლემად დარჩებოდა. წელს უკვე მერამდენედ შევხვდი რაიონის გამგებელს ნუგზარ კაკიაშვილს, რომელმაც დახმარება აღვიქვა. სულ რამდენიმე დღეში მას გუნდთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი: რაიონის ფეხბურთის მომავალზეც ვისაუბრებთ. თუ დავიბრუნეთ ყველა აქედან წასული, არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში პირველ ჯგუფზეც ვიფიქროთ, თანაც ისე, რომ ჩვენს პრინციპს, გუნდის მხოლოდ ჭაბუკიანელებით დაკომპლექტებას, არ ვუღალატოთ. სოფელში მომავალი თაობის აღზრდაზეც ვზრუნავთ: ფეხბურთისთვის თავდადებული ერთი კაცი, გურამ მოღებაძე ბავშვთა რამდენიმე ჯგუფს ავარჯიშებს.

სულ არ არის გამორიცხული, რომ მეორე ჯგუფს ვერ გავცდეთ, მაგრამ ამას დიდ უბედურებად არ აღვითქვამთ, რადგან ჩვენი გუნდის არსებობის მთავარი მიზანი სოფლის ახალგაზრდების სპორტით, კერძოდ კი, ფეხბურთით დასაქმებაა, რათა მომავალი თაობა გზას არ ასცდეს. შედეგიც, ალბათ, არ დააყოვნებს — ჯანსაღი და წესიერი ახალგაზრდობა გვეყოლება.

მეორე წრისთვის მზადებას გვიან შევუდექით. მართალია, „ბენდელას თასზე" სამივე თამაში წავაგეთ, მაგრამ „დინამოსთან", „მეტალურგთან" და „გურიასთან" მარცხი ჩვენთვის დიდი გაკვეთილი გახლდათ. ერთი სიტყვით, მეორე წრეს იმედიანად ვეგებებით.

## უიღბლობათა სერია გრძელდება: ახლა ჩიხრაძე დაგვემტვრა

ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრებს მძიმე ტრავმები დაებედათ. აბა, სხვა რა უნდა თქვა, როდესაც გუნდს ოპტიმალური შემადგენლობით ლამის არცერთი მატჩი არ უთამაშია. მიზეზი, როგორც ვთქვით, ავადსახსენებელი ტრავმა-ავადმყოფობაა. რომელი ერთი გინდა გაიხსენო: ჯერ იყო და, ზაზა რევიშვილი დაგვაკლდა, მერე კაპიტანი, კახი ცხადაძე, გოჩა ჯამარაული, გელა ინალიშვილი, გიორგი ქინქლაძე, გიორგი ნემსაძე, მურთაზ შელია, დავით ყიზილაშვილი, ღვთის მადლით, ზოგი მალე და უმტკივნეულოდ გამოჯამრთელდა, მაგრამ სულ ახლახან აჩიკო არველაძემ ისეთი ტრამვა მიიღო, ხუთი თვე რომ არ ათამაშებს ფეხბურთელს.

ეს ვერ მოგვენელებინა და კვლავ უსიამოვნო ახალი ამბავი შევიტყვეთ: ბედმა ამჯერად ნაკრების მარცხენა მცველს გიორგი ჩიხრაძეს უმუხთლა. უკრაინის თასის მერვედფინალურ მატჩში დონეცკის „შახტიორსა" და კიევის „დინამო-2"-ს შორის, „შახტიორმა" რომ 2:0 მოიგო, ჩიხრაძე მძიმედ დაშავებულა. ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, რამდენად სერიოზულია ტრავმა, რომელიც, შესაძლოა, გაყინული და თოვლიანი მინდვრის ბრალიც იყო, რაკილა თამაში, რატომღაც, დონეცკის ცენტრალურ სტადიონზე კი არა, მის გარეუბან ხოლოდნაია ბალკაში ჩატარებულა.




### ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, 93-36-71



# გაიმარჯვა დრუჟბამ...



სპორტული თვალსაზრისით მატჩი ვერაფერი შვილი გამოდგა. მთავარია, მან ის ფუნქცია შეასრულოს, რომელიც ეკისრებოდა.

## ეს უიღბლო რევიშვილი



ზაზა რევიშვილისთანა უიღბლო ფეხბურთელი ბევრი არ მოიძებნება. სხვადასხვა მიზეზთა გამო მას ძალიან დიდი დრო გაუცდა. ფეხბურთელს აშკარად არ უმართლდება — თავისი საუკეთესო დრო გაუცდა. ფორმის მიღწევისთანავე ამოვარდებოდა ხოლმე კალაპოტიდან, ხან რა უშლიდა ხელს, ხანაც რა. შარშანაც, რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურებში ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ უცებ სიყვითლე შეეყარა. შემდეგ ფეხი დაიზიანა. თანამეგობრობის თასზე მონაწილე ვლადიკავკაზელთაგან რუსეთის პრესამ ყველაზე მეტი ქების სიტყვა სწორედ მას უძღვნა. მაგრამ აი, დაიწყო რუსეთის მორიგი ჩემპიონატი და აღმოჩნდა, რომ რევიშვილი ჯერჯერობით ვერ ითამაშებს. მიზეზი უკვე გაუწყეთ — ტრავმა აწუხებს და იძულებულია კვლავ შეისვენოს.

— ტრავმა ბოლომდე არ მომშუშებოდა, რომ კუნთი სამ ადგილას დამეჭიმა. ორი თვე კარგად ვემზადებოდი, მაგრამ, ერთი წლის შესვენებამ თავისი ჰქნა — კუნთმა დიდ დატვირთვებს ვერ გაუძლო.

— ექიმები რას ვარაუდობენ, როდის გახვალ მინდორზე?

— ალბათ, ოც დღეში.

### დინამო 3:3 ალანია

დინამო: ზოიძე (ჭანტურია 63), კალაძე (დიდავა 46), ლობჟანიძე, კობიაშვილი, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (...კიძე 46), კიკნაძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 60), კერძევაძე (დემეტრაძე 59), ანჩაბაძე (მუჯირი 69), იაშვილი (გადელია 60)

სპარტაკ-ალანია: ხაპოვი (გრიშიკაშვილი 66), პაგაევი, ტიმოფეევი, შელია, აგაევი (სიკოევი 78), თეთრაძე, თედეევი, ...ნოვსკი (ბოციევი 66), ჯამარაული (ბათაროვი 78), სულეიმანოვი, კლიმოვი (დერკაჩი 60)

1:0 გოგიჩაიშვილი (16 პ), 2:0 ანჩაბაძე (33), 2:1 სულეიმანოვი (54), 3:1 ხომერიკი (81), თედეევი (91 პ), 3:3 სიკოევი (93)

გაფრთხილება: ხაპოვი, გახოკიძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე



## თუ გაზაევი არ მათამაშებს, სხვაგან წავალ

თავის დროზე, როცა სოსო გრიშიკაშვილი ვლადიკავკაზში გადადიოდა, გაზაევი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა — ზაურ ხაპოვის შემცვლელი ხომ საქართველოს ნაკრების კანდიდატი გახლდათ. მაგრამ, სოსომ რუსეთის შარშანდელ ჩემპიონატში სულ ხუთიოდე მატჩში ითამაშა, წელს კი გაზაევმა მოსკოვის „ტორპედოდან" მესამე მეკარე — კრამარენკო ჩამოიყვანა და, ბუნებრივია, გაჩნდა ეჭვი, რომ გრიშიკაშვილს „ალანიას" დატოვება მოუწევდა.

— ჯერ გუნდის გამოცვლაზე არ მიფიქრია, „ალანიაში" მესამე მეკარის მოყვანას ჩემს მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

**— სხვა გუნდები თუ გიწვევენ?**

— რაიმე კონკრეტული წინადადება არ მქონია, ჩემთან არავინ მოსულა და არც სადმე გადასვლა შემოუთავაზებიათ, თუმცა გავიგე, რომ რუსეთის რამდენიმე გუნდი ყოფილა ჩემით დაინტერესებული. რაც შეეხება თვითონ გაზაევს, იგი მთხოვს, რომ დავრჩე. მას უკვე ვესაუბრე კიდეც ჩემი წასვლის თაობაზე. შემპირდა, რომ გუნდში არავითარი პრობლემა არ მექნებოდა — არც პირობების, არც სათამაშო პრაქტიკის მხრივ.

**— რომელ გუნდებს უნდიხარ?**

— მოსკოვის „ტორპედოს", თუმცა, გუნდის წარმომადგენლებს პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამთ. როგორც გავიგე, ასეთივე ინტერესი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცსაც" გამოუჩენია.

**— თქვი, რომ სათამაშო პრაქტიკა გაკლია. ნაკრების ხელმძღვანელობაც, ეტყობა, ამის გამო აღარ გიწვევს...**

— ეს მე ძალიან მაწუხებს. ჩემთვის მთავარი ნაკრებში მოხვედრაა, მაგრამ მესმის, რომ საამისოდ ჯერ კლუბში კარგად თამაშია საჭირო. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ფორმაში ჩავდგე და გაზაევმა ხშირად მათამაშოს. თუ გაზაევი არ გასტეხს მოცემულ სიტყვას, ესე იგი, სისტემატურად მათამაშებს — ხომ კარგი, თუ არადა, პირველი წრის შემდეგ გუნდის გამოცვლა მომიწევს.

## ბოსმანი ძლიერ დაგვეხმარა



ვლადიკავკაზში რომ ფეხბურთის ბუმია და იქაური „ალანიას" სასიკეთოდ ბევრი რამ კეთდება, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია და თავსაც აღარ შეგაწყენთ. შესანიშნავი საწვრთნელი ბაზის შემდეგ ოსეთის ხელმძღვანელობამ თურმე ახალი, თანამედროვე სტადიონის აშენებაც განიზრახა. „სპარტაკ-ალანიას" ვიცე-პრეზიდენტ ბათრაზ ბითაროვთან საუბარიც სწორედ ამაზე დავიწყეთ.

— დავაზუსტებ: უკვე აშენებულ სტადიონს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა: ტრიბუნებზე დასაჯდომები გამოიცვალა, მოედანზე ხელოვნური გათბობა მოეწყო, რაც მთავარია, სტადიონი წმინდა საფეხბურთო იქნება.

**— ჩანს, ჩემპიონთა ლიგისათვის სერიოზულად ემზადებით...**

— რა თქმა უნდა. ამიტომ ბაზაც და სტადიონიც ჩვენი დონისა და ამბიციების შესაფერისი გვქონდეს.

**— ყაველაშვილის ინგლისში გაშვება ყველასათვის მოულოდნელი იყო: ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო, გუნდის ბირთვიც გამოიკვეთა, ამ დროს კი თქვენ ასეთი ნაბიჯი გადადგით...**

— საქმე ისაა, რომ ვალერი გაზაევს ასეთი პრინციპი აქვს. არ შეიძლება მოთამაშის ძალით გაჩერება, ვისაც სხვაგან წასვლა სურს. როცა ყაველაშვილმა „მანჩესტერ სიტიში" თამაშის სურვილი გამოთქვა. გაზაევმა მას ხელი აღარ შეუშალა. პირიქით, როგორც შეგნებული ადამიანი, დაეხმარა კიდეც ფეხბურთელს.

**— ყაველაშვილის წასვლის მიუხედავად, „ალანიაში" ქართველთა რაოდენობა არ შემცირებულა — ახლახან ჯამარაული დაიმატეთ. კიდევ ხომ არ აპირებთ ჩვენების მოწვევას?**

— ჯერჯერობით არა, რადგან უცხოელ მოთამაშეთა ლიმიტი უკვე ამოვწურეთ. ჯამარაული ხომ, ყაველაშვილის მსგავსად, უცხოელად ითვლება. რუსეთის ჩემპიონატში კი სამ ლეგიონერზე მეტს ვერ გამოვიყვანთ.

**— ბოსმანის საქმე ხომ თქვენც წაგადგებათ? მალე უეფას წევრ ქვეყნებს აღარ შეეზღუდებათ ლეგიონერთა რაოდენობა...**

— თუ ასე იქნა, ჩათვალეთ, რომ მას ჩვენს წისქვილზე დაუსხამს წყალს.

P. S. როგორც შევიტყვეთ, „დინამოალანიას" შეხვედრამდე ვლადიკავკაზელთა ვიცე-პრეზიდენტისთვის ბენდელას თასის ორგანიზატორებს საგაისოდ დაგეგმილ გათამაშებაში მონაწილეობა შეუთავაზებიათ, რაზეც ბითაროვს, ფაქტიურად, თანხმობა განუცხადებია: „იმ დროისათვის ჩემპიონთა ლიგისათვის სამზადისში ვიქნებით და დატვირთულებიც ვიქნებით, მაგრამ ტურნირში მონაწილეობისთვის დროს აუცილებლად გამოვნახავთ. თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც მითხრეს, ის ახალგაზრდა, ვის ხსოვნასაც ტურნირი ეძღვნება, ვლადიკავკაზში მოთამაშე ბევრი ფეხბურთელის მეგობარი ყოფილა. ამას გარდა, ვიცი, რომ ტურნირის ორგანიზატორები ბევრ ცნობილ გუნდსაც იწვევენ, ასე რომ, ჩვენ მზადა ვართ მონაწილეობისათვის.

გოგი ახვლედიანის

## ბურთი ჩამოგორდა როკის გვირაბიდან და სიმღის ხმაზე ჩამოგვირბინა

### რაც გამახსენდა

გაზაევი რომ დავინახე, გამახსენდა ძველი დრო, როცა ვალერი გეორგიჩი თბილისის დინამოში თამაშობდა და ჩვენს აბურდულ საფეხბურთო გუნდს შველოდა, ბაქოს ნეფთჩისთან ყაიმის მიღწევის საქმეში.

მაშინ ამბობდნენ გაზაევმა თბილისში თეთრი მერსედესი ჩამოიყვანა და გაყიდაო. ზოგი აცხადებდა, მერსედესი თეთრი კი არა, ლურჯი იყოო.

მერე ცეკა-ტეკამ გვარიანად შეახურა ჩვენი უსუსური გუნდი და ფეხბურთელებს გამოყვანილ-გაყიდული მანქანების თვლა დაუწყეს.

ამასთან დაკავშირებით უკვდავი და მართალი სიტყვები წარმოთქვა მ. მესხმა-უმცროსმა: „ზაპოროჟეციანი დიდი ფეხბურთელი არ გამიგიაო".

### ჩაბიზგინა

როცა შეხვედრა ამხანაგურია, ფეხბურთელები ცდილობენ ხოლმე, რომ ხალხი გაართონ. იმ დღეს სტადიონზე მოსულ ხალხს თავის გართობაზე თავადვე უნდა ეზრუნა. ოსებთან თამაშს პოლიტიკური აზრი ჰქონდა და არა გასართობი. აკი გალაზოვიც გვეწვია. თანაც აშკარად არ იყო მხოლოდ ამ თამაშის საცქერლად ჩამოსული. უფრო სწორად ასეთი თამაშის საყურებლად ქვეყნიდან ქვეყანაში ხომ არ წახვალ?

მე შენ გეტყვი და ცხელი ჩაბიზგინა იყიდებოდა სტადიონზე. ჩაბიზგინა, მოგეხსენებათ დიდია. სანამ შეჭამდე თამაშიც მორჩებოდა და გამაძღარიც დარჩებოდი, თორემ ჩვენი განთქმული სტადიონის ჩაჭაპური ისე გაუთხელებიათ, რომ ზედ შეიძლება ლექსი დაწერო, კონვერტში ჩადო და შეყვარებულს გაუგზავნო.

### მგზავრი

სტადიონი დიახაც გაჭედილი გახლდათ. უფრო სწორად თანდათან იჭედებოდა და რახან შესვლა თავისუფალი იყო, იქ მრავლად იყვნენ შემთხვევითი ადამიანები და ბავშვები სამიდან სამოცდასამ წლამდე. ერთმა მოქალაქემ ისიც კი თქვა, აქ იმიტომ შემოვედი, რომ ფეხბურთის გამო ქუჩები დაკეტილია, ტრანსპორტი არ დადის და სახლში ფეხით წასვლა მეზარებაო.

### რუსული გამოცხადება

იმ დღეს რუსულადაც აცხადებდნენ, სტუმართა პატივსაცემად, რა თქმა უნდა, მაგრამ მე რაღაც არ მახსოვს, რომ ვინმეს, სადმე გამოეცხადებინოს ქართულად. ასეთი რამ მიღებული არ არის, მაგრამ ჩვენ ხომ სხვანაირები ვართ, სტუმარ-მასპინძლურები. მე თუ მკითხავთ, ოსურადაც უნდა გამოგვეცხადებინა, თათრულადაც (სულეიმანოვის ხათრით) ბელორუსულადაც (დერკაჩის ხათრით) ა.შ. ისე კი ზოგიერთ დიქტორს რუსული ოდნავ დავიწყებია, განსაკუთრებით ზმნათა უღლების საკითხში. ალბათ დამოუკიდებლობის ბრალი თუა.

### რეკორდსმენი

მოედნის შორიახლოს ერთი ბიჭი იდგა და თავით ბურთს კენწლავდა. მგონი, გინესის რეკორდზე მიდიოდა. ლამის მთელი ტაიმი კენწლავდა. ერთიც გავიხედე და ეს ბიჭი თავჩარგული ზის კედელთან.

ახლოს მჯდომმა ბავშვებმა თქვეს, ბურთი მილიციელმა გადაუგდო შემთხვევითო. მე არ დამინახავს, თამაშისკენ გმექცა თვალი.

### THE END

საერთოდ კი, ბევრს ვლაპარაკობ თამაშზე, რომელიც, ფაქტიურად არ მინახავს. მთელი დრო თვალების აქეთიქით ცეცებას მოვანდომე.

როგორც იქ (სტადიონზე) შევიტყვე, ამ მატჩის პოლიტიკური მნიშვნელობა დიდი იყო, საფეხბურთო კი, როგორც იქვე შევატყვე, მეტად მცირე.

თანაც, გამუდმებით მეფარებოდა ერთი მენაყინე ქალი, რომელსაც მთელი სექტორი აგინებდა, მაგრამ მაინც ვერ მოიცილა. ამ ქალის წყალობით ექვსიდან ორი გოლი დავინახე, ისიც — პენალტები.

მგონი ამ თამაშში ვერ გაირკვა, ვინ უფრო ძლიერია. ვერც ის გაირკვა, ვინ უფრო სუსტია.

მეგობრობა გზად და ხიდად.

## ინგლისი

# «სიტის» მოციქულემ არ წააგო

„ლივერპულს“ 17 თამაშია, არ წაუგია და ჩემპიონობაზე გულში კი არა, ხმამაღლა ოცნებობს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როი ევანსის გუნდს საამისოდ „უიმბლდონის“ დამარცხება არ აწყენდა. „უიმბლდონის“ მარცხი არც ქინქლაძის „მანჩესტერ სიტის“ დაადგებოდა ყელზე, მაგრამ ვაგლახ: ჯო კინიარის ბიჭებმა ლივერპულში დიდებულ ფრეს მიაღწიეს. ეს იმხერი ფეხბურთი ლოგიკურთან ერთად ალოგიკურიც რომ არ იყოს...

„ლივერპული“ ღირსეულად თამაშობდა და მეტწილად მთელს მოედანზე აკონტროლებდა ვითარებას. გახსნა კიდეც ანგარიში, 35-ე წუთზე სტივ მაკმანამანმა სეზონში მერვე გოლი გაიტანა. პირველი ტაიმი ასეც დამთავრდა — 1:0. სტუმართა კართან მომენტებიც მრავლად იყო, მაგრამ ბურთი ხან კარს სცდებოდა, ხან თანამსაჯი თამაშგარეს აღნიშნავდა. ერთხელ კი გოლი არ ჩათვალა, რითაც ევანსი ფრიად აღაშფოთა. მომენტები „უიმბლდონსაც“ ჰქონდა. გოლი გაუშვა თუ არა, სტუმართა გუნდმა კინაღამ გაქვითა. „ლივერპულის“ მეკარემ დევიდ ჯეიმსმა ყურადღება მოადუნა, ეფან ეკოკუს პრესინგით დაბნეულმა ბურთი რობი ერლს გადაუგდო, რომელმაც ხუთი მეტრიდან კარს გადააცილა. შემდეგ ვინი ჯოუნზმა ააწიოკა მასპინძელთა მცველები, ამით წახალისებულმა ეკოკუმ ფილ ბებს ჩაუქროლა, მაგრამ მომენტს გოლი არ მოჰყვა.

ლივერპულელთაგან კი მარტო რობ ჯონსს, მეორასედ რომ თამაშობდა და ერთი გოლიც ვერ გაეტანა, ორჯერ შეეძლო ანგარიშის შეცვლა. ორივეჯერ დარტყმის მაგივრად თამაშგარე მდგომარეობაში მყოფ თანაგუნდელს გადაუგდო ბურთი. ვერ გაიტანეს რობი ფაულერმა, იმავე მაკმანამანმა. ამ ეპიზოდებში კრის პერის თავგანწირვამ იხსნა მეკარე ნეილ სალივანი მარცხისაგან.

54-ე და მე-60 წუთებზე სტუმრებმა ორჯერ ივარგეს. გოლები გაიტანეს ეკოკუმ და ჰოლდსვორსმა. ამ პერიოდში „ლივერპულს“ კიდევ ორი მწვავე მომენტისას თანამსაჯმა დროშა აღუმართა.

კიდევ კარგი, 68-ე წუთზე სტენ კოლიმორმა გაქვითა (სეზონში მე-15 გოლი), თორემ თავმოყვარე მასპინძლები ფრიად შერცხვებოდნენ.

პრემიერლიგის მეორე თამაშში „ბლექბერნმა“ „ლიდსს“ 1:0 მოუგო.

აბდაუბდა ინგლისში ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალიც გაიმართა. განა ორიოდ დღის წინ არ იყო, „ნოტინგემ ფორესტის“ მერვედფინალური მატჩის შესახებ რომ მოგითხრეთ? განა ოთხშაბათს არ აქვს ამ გუნდს „ბაიერნთან“ უეფას თასის საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრა? განა ნოტინგემის გუნდმა ბოლო 15 დღეში ხუთი შეხვედრა არ ჩაატარა? მერე რა, ინგლისელები ხომ ლამის ყოველდღე თამაშობენ. ჰოდა, ეწვია „ნოტინგემ ფორესტს“ „ასტონ ვილა“, მოუგო 1:0 და ნახევარფინალშიც გავიდა. აქ ის ან „ლიდსს“ შეხვდება ან „ლივერპულს“. ერთადერთი, რასაც შესაძლოა ამ მატჩში მასპინძელთა მწვრთნელი ფრენკ კლარკი დაეკმაყოფილებინა, ტაქტიკური ექსპერიმენტი იყო. მან მეორე ტაიმში ბრაიან როის ნაცვლად პოლ მაკგრეგორი შეიყვანა და 4-2-2 გადააკეთა 4-3-3-ად.

ერთადერთი გოლი 26-ე წუთზე ფრენს კარმა გაიტანა. თუმც იგი 13 წელია პროფესიონალი ფეხბურთელია, ასოციაციის თასზე „ნოტინგემის“ კარში გატანილი ბურთი მისთვის პირველი იყო. ადრე თავად იყო ნოტინგემელი, მერე „ლესტერში“ თამაშობდა, თუმცა გუშინწინდლამდე ბოლო წლის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ 14 წუთი ჰქონდა გატარებული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 28 | 19 | 4 | 5 | 52:26 | 61 |
| მანჩესტერ იუნ | 29 | 18 | 6 | 5 | 57:30 | 60 |
| ლივერპული | 29 | 16 | 8 | 5 | 58:26 | 56 |
| ასტონ ვილა | 30 | 16 | 7 | 7 | 47:29 | 55 |
| არსენალი | 29 | 13 | 9 | 7 | 39:27 | 48 |
| ტოტენჰემი | 27 | 13 | 9 | 5 | 35:24 | 48 |
| ევერტონი | 30 | 13 | 8 | 9 | 46:32 | 47 |
| ბლექბერნი | 30 | 13 | 6 | 11 | 44:34 | 45 |
| ჩელსი | 30 | 11 | 11 | 8 | 36:32 | 44 |
| ნოტინგემი | 28 | 11 | 10 | 7 | 38:39 | 43 |
| ვესტ ჰემი | 29 | 11 | 6 | 12 | 34:39 | 39 |
| ლიდსი | 27 | 11 | 5 | 11 | 33:39 | 38 |
| მიდლსბრო | 30 | 9 | 7 | 14 | 28:41 | 34 |
| შეფილდი | 29 | 7 | 8 | 14 | 39:49 | 29 |
| უიმბლდონი | 29 | 6 | 9 | 14 | 42:58 | 27 |
| ქოვენთრი | 29 | 5 | 12 | 12 | 37:53 | 27 |
| მანჩესტერ სიტი | 30 | 6 | 9 | 15 | 22:44 | 27 |
| საუთჰემპტონი | 27 | 5 | 10 | 12 | 27:40 | 25 |
| ქუინზ პარკი | 30 | 6 | 4 | 20 | 26:48 | 22 |
| ბოლტონი | 29 | 5 | 4 | 20 | 29:58 | 19 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო

კვირას დომინიკამ და ანტიგუამ 5 ათასი გულშემატკივრის თვალწინ დრამატული 3:3 ითამაშეს. ცხადია, „სარბიელი“ ყველა, საინტერესო თუ უინტერესო შეხვედრის მიმოხილვას არ და ვერ გპირდებათ, მაგრამ პირველი პირველია...

მატჩი „ჩაინძორ პარკის“ კრიკეტის მოედანზე გაიმართა, რადგან დომინიკაში ფეხბურთის მოედანი არ აქვთ. ორივე გუნდი მოყვარულებისგანაა დაკომპლექტებული. დომინიკას ნაკრებს იქაური „წყლის კომპანიის“ ადმინისტრატორი-კლერკი წვრთნის. მოთამაშეები გასამრჯელოს გარეშე თამაშობენ. ანგარიში მასპინძელმა ანტონი დომინიკამ გახსნა მერვე წუთზე. შემდეგ მე-15 და 28-ე წუთებზე სტუმრებმა, ქვინტინ კლარკმა და დერიკ ედვარდსმა თავისიანები დააწინაურეს. დომინიკა, რომელიც პირველად თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩს, 42-ე წუთზე ჯორჯ დენგლერის გოლით წამოეწია დაწინაურებულთ. ედვარდსმა 74-ზე ანტიგუა კვლავ დააწინაურა, მაგრამ 94-ზე (მსაჯის მიერ დამატებული დრო) შეინ მარშალმა გაქვითა. საპასუხო მატჩი 31 მარტს გაიმართება. გამარჯვებული ბარბადოსს ეთამაშება.

## რუსეთი

### „სპორტ-ექსპრესიდან“:

„ალანია“ — „კამაზი“ — 3:0

შელია („ალანია“) — 6:0

რევიშვილი („ალანია“, შემოვიდა 61-ე წუთზე) — 5,5

ჯამარაული („ალანია“) — 7,0

ჭედია („კამაზი“) — 6,0

გაბისკირია („კამაზი“) — 6,0

ჯიშკარიანი („კამაზი“) — 6,0

„სავსებით ცხადია, რომ „კამაზში“ მოსული ჭედია და გაბისკირია არ ჩაიკარგებიან რუსეთის ელიტარული ლიგის ხუთასამდე ფეხბურთელში. „გაბისკირიას სჭირდება დრო, იგი თამაშიდან თამაშამდე მოუმატებს“ — ჩეტვერიკის მატჩისშემდგომი ძუნწი ქება თავისი გუნდის შეტევების ახალი ორგანიზატორის მისამართით გაბისკირიას დიდ პოტენციალზე მეტყველებს. სტუმრები ბურთს იგერიებდნენ, გაბისკირია კი ეუფლებოდა ბურთს და არაფრისაგან ისეთ ხიფათს ჰქმნიდა, რომ თევრაძე და შელია შეტევაში ვერა და ვერ მოდიოდნენ. 43-ე წუთზე გაბისკირიამ ოთხი მეტრიდან კინაღამ შეუგდო ზაპოვს“.

„პირველ 45 წუთში „კამაზის“ დაცვა სოსო ჭედიას მეთაურობით მეთოდურად ამსხვრევდა „ალანიას“ შეტევებს.“

„ჯამარაული ის მოთამაშეა, რომელსაც მოედნის შუაში ნებისმიერი ამოცანის ამოხსნა ძალუძს“ — ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელის რეზო ბურკაძის ეს დახასიათება მართალი გამოდგა. სწორედ ჯამარაული, რომელმაც სულეიმანოვი სათადარიგო სკამზე დატოვა, აღმოჩნდა ის ფრინველი, რომელიც ვლადიკავკაზელებისათვის ოქროს კვერცხებს სდებდა. ვლადიკავკაზელებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ აკლდათ „ასანთი“, რომელიც შეტევებს აანთებდა. სწორედ ეს გააკეთა თბილისელმა, რომლის ლეკური ბურთით, როცა მან სამი მეტოქე მაყურებლად აქცია, საჯარიმოში შეაჩერეს. კასიმოვმა ზუსტად დაარტყა პენალტი. გაბისკირიამ 54-ე წუთზე აშკარად „აპატია“ ხაპოვს, როდესაც მეკარის მოედნიდან გამოზომილად გაარტყა უკვე უძლური მეკარის კარში ძელს“.

„კასიმოვის ნაცვლად შემოვიდა ზაზა რევიშვილი, ვისაც მთელი ვლადიკავკაზი ელოდა.“

„... შემდეგ ჯამარაულის მორიგი სოლო იანოვსკისკენ ისეთი გადაცემით დამთავრდა, რომელიც სახელმძღვანელოშია შესატანი — თავისუფალ ადგილას და პირდაპირ ფეხებში. იანოვსკიმ ჩაწოდა თედეევს და მან საჯარიმოს ხაზიდან მეორე გოლი გაიტანა“.

ცსკა — „ლადა“ — 3:1

სეფაშვილი („ლადა“, შეცვალეს 84-ე წუთზე) — 5.0

„როსტსელმაში“ — „ურალმაში“ — 2:1

დევაძე („როსტსელმაში“) — 6,5

„ლოკომოტივი“ — ნოვგოროდი — 0:0

ზ. ჯანაშია („ლოკომოტივი“) — 5,5

„ჩერნომორეცი“ — „კრილია“ — 0:1

მინაშვილი („კრილია“) — 5,5 იგი 75-ე წუთზე შეცვალა ნიკლაურმა — 5,5

„ჟემჩუჟინა“ — „დინამო“ 1:3

დ. ჯანაშია („ჟემჩუჟინა“) — 5,5

იონანიძე („ჟემჩუჟინა“ შეცვალეს მეორე ტაიმში) — 5,0

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიის ნაკრებისა და „კორინთიანსის“ ფეხბურთელმა ედმუნდომ, რომელსაც ხშირად აძევებენ ხოლმე მოედნიდან, „პალმეირასთან“ სან-პაულუს ჩემპიონატის თამაშის დროს ბურთისთვის ბრძოლაში მეტოქის მცველს, სანდროს უთავაზა, რისთვისაც წითელი ბარათი იხილა. არადა, ერთი კვირაც არ იყო გასული მას მერე, რაც „სანტოსთან“ შეხვედრაში ასეთივე დანაშაულისთვის გააგდეს. მაშინ ერთი თამაშით აუკრძალეს მოედანზე გასვლა, ახლა კი სასჯელი გაამკაცრეს და გადარეული ედმუნდო სამ შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. სასჯელი არ შეეხო სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის შეხვედრას „კორინთიანსსა“ და „ბოტაფოგოს“ შორის.

ინგლისში კი საქმე სხვაგვარადაა. კოლუმბიელმა ფაუსტინო ასპრილიამ „მანჩესტერ სიტისა“ და „ნიუკასლის“ თამაშში, 24 თებერვალს, ქინქლაძის გუნდის კაპიტანს ჯეის კერლს იდაყვი რომ მიარტყა, თბილისშიც კარგად გვახსოვს და იქაური ტელევიზია ხომ წამდაუწუმ იმეორებს. მსაჯმა თამაშის დროს ვერ შენიშნა ეს დარღვევა, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მატჩის შემდგომ აღძრა საქმე. ახლა 26 წლის ასპრილიას, რომელიც „ნიუკასლის“ მწვრთნელმა კევინ კიგანმა, ცოტა ხნის წინ, 11,4 მილიონ დოლარად „პარმადან“ გადაიყვანა, საქმის ორჯერ განხილვა მოუწევს. ერთი განხილვა საფეხბურთოა, დიდი-დიდი, სადისციპლინო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცეს, მეორე კი პერსონალური სარჩელის საფუძველზეა — კერლმა იჩივლა. შესაძლოა, ორივე განხილვა ერთად ჩატარდეს. ასპრილია იმაშიც შეცდა, თამაშის მერე რომ გააგრძელა „სიტის“ კაპიტანთან ძიძგილაობა.

ესპანეთში, სამშაბათს „ალბასეტემ“ გაანთავისუფლა მწვრთნელი ბენიტო ფლორო, რომელიც ადრე მადრიდის „რეალს“ ედგა სათავეში. „რეალამდე“ ფლორო „ალბასეტესვე“ წვრთნიდა და მაშინ გაითქვა სახელი. „ალბასეტე“ ახლა მე-19 ადგილზეა და ლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება. შარშან კი მხოლოდ იმიტომ გადარჩა ქვედა ლიგაში თამაშს, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ პირველ დივიზიონში გუნდების რაოდენობა ბოლო წამს გაზარდა 22-მდე.

დანიელი ფეხბურთელი, ევროპის 1992 წლის ჩემპიონი, ფინალურ მატჩში გერმანიის ნაკრების კარში პირველი გოლის გამტანი ჯონ იენსენი ლონდონის „არსენალიდან“ გაუშვეს და იგიც თავის ძველ კლუბს, დანიურ „ბრონდბიუს“ დაუბრუნდა. იენსენი თავის დროზე 2,1 მილიონ [illegible] „არსენალის“ მაშინდელმა [illegible] გრემმა იყიდა, მაგრამ გრემი 1995 წლის თებერვალში თავად მოხსნეს [illegible] სატრანსფერო აფერისტობაში და ფულის ჩაჯიბვაში ამხილეს. მას მერე „არსენალს“ ბრუს რიოქმა ჩაიბარა. რიოქს კი იენსენი თვალში არ მოუვიდა. მართლაც, დანიელმა ლონდონის გუნდის 136 შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაიტანა. ამბობენ, რიოქმა შესაძლოა იან რაიტიც გაყიდოსო. რაიტმა თავად სთხოვა რიოქს, ტრანსფერზე გადამეციო. როგორც კლუბის დირექტორმა კენ ფრაიერმა თქვა, მწვრთნელს რაიტის გაშვება არ სურს. რაიტმა ამ სეზონში „არსენალის“ შემადგენლობაში 19 გოლი გაიტანა. მისი გადაბირებით „ჩელსი“ და „ევერტონი“ დაინტერესდნენ.

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინგი კვირას გლაზგოში ჩავა და „იბროკს პარკზე“ „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ თამაშს დაესწრება. ჰიდინგს, ცხადია, შოტლანდიის ჩემპიონატის უმთავრესი შეხვედრა ისე არ აინტერესებს, როგორც „სელტიკის“ ფორვარდის პიერ ვან ჰოაიდონკის თამაში. ეს თავდამსხმელი ერთადერთხელ, დიკ ადვოკატის მწვრთნელობის დროს იყო ჰოლანდიის ნაკრებში და ახლა კვლავ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. 26 წლის ჰოაიდონკი შოტლანდიის ბომბარდირთა ლიდერია — 24 გოლი. მან ბოლო 19 შეხვედრაში 17-ჯერ გაიტანა. ასე რომ, სულაც არაა გამორიცხული, იგი 24 აპრილს როტერდამში გერმანიის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ვიხილოთ. თანაც, „აიაქსის“ მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ჰიდინგს სთხოვა, კალენდარი ფრიად გადატვირთული გვაქვს და ჩემი გუნდის მოთამაშეებს ამხანაგურებში სათამაშოდ ხშირად ნუ გამოიძახებო. ამგვარად, ჰოაიდონკს ალბათ ნაკრებში ადგილი მოეძებნება. ჰიდინგს „სელტიკის“ ფორვარდის გარდა „რეინჯერსის“ ახალწვეულის ცნობილი პეტერ ვან ფოსენის ხილვაც აინტერესებს. ვან ფოსენი ნაკრებში მას მერე აღარ მიუწვევიათ, რაც შარშან ზაფხულზე „აიაქსიდან“ თურქეთის „ისტანბულსფორში“ გადავიდა.

ინგლისში „მიდლსბროს“ ყოფილ მწვრთნელს ვილი მედრენს კუნთების ატროფიის გამომწვევი ავადმყოფობა აღმოუჩინეს. ეს ამბავი სამშაბათს გახდა ცნობილი. ამავე დაავადებამ იმსხვერპლა 1989 წელს „ლიდსის“ ყოფილი მწვრთნელი დონ რევი.

„არ ვაპირებ, დავნებდე ავადმყოფობას. იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ვინმე გამოიგონებს წამალს — თქვა 45 წლის მედრენმა, რომელსაც 70 წლებში ინგლისის ნაკრებში 23-ჯერ „მიდლსბროს“ შემადგენლობაში კი 340-ჯერ უთამაშია. ამ გუნდს მედრენი 1984-86 წლებში ედგა სათავეში.

# შეშლილი სამყარო

იტალია შოკშია. ორშაბათ დილას მოსახლეობას შესაძლოა უმთავრესი სიამოვნება მოაკლდეს, ანუ სამსახურში წასვლამდე, კაფეში, კაპუჩინოს ჭიქით ხელში ვერ გაარჩიოს წინა დღის საფეხბურთო ამბები. არა, კაპუჩინო არაფერ შუაშია, ის იქნება, კვირის მატჩები კი შესაძლოა არ იყოს. სერია A-ს გუნდები გაფიცვას აწყობენ (B და C მომდევნო კვირაში გაიფიცებიან).

საზოგადოება გაიხლიჩა, ორ ბანაკ-დ, აქციის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაიყო.

„ესღა გვაკლდა იტალიელებს — მილიონერთა გაფიცვა“ — სარკასტულად შენიშნავს „კორიერე დელო სპორტი“.

მართლაც, ვის ვის და იტალიის სერია A-ს ფეხბურთელებს, რომელთაც არც ფული აკლიათ და არც ტელეკამერების თუ ფოტოობიექტივების წინ თავმოწონება, რა უნდა ჰქონოდათ გასაფიცი?! მიზეზი „საგარანტიო ფონდია“. მოთამაშეები იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სთხოვენ, დაუყოვნებლივ გადარიცხოს ფული ამ ფონდში. ეს ფონდი მათთვის ერთგვარი დაზღვევაა იმ დღისთვის, როდესაც მათ კლუბებს შავი დღე დაუდგებათ.

— მე იმ ოც პროცენტს მივეკუთვნები, უფულობა რომ არ აწუხებს, ამდენად, საკუთარი თავისთვის არ ვზრუნავ. იტალიაში 3 ათასი პროფესიონალი ფეხბურთელია და უმრავლესობა დიდი შემოსავლით ვერ დაიკვეხნის. გაფიცვას მათთვის ვაწყობთ,— განაცხადა აქციის ერთ-ერთმა აქტივისტმა, „იუვენტუსის“ ცნობილმა თავდამსხმელმა ჯანლუკა ვიალიმ.

მოთამაშეებს სხვა მოთხოვნებიც აქვთ. მათ არ ეპიტნავებათ ანტიბოსმანური სულისკვეთება და ითხოვენ, იტალიური ფეხბურთი ევროპის სასამართლოს ვერდიქტს უსიტყვოდ დაემორჩილოს.

ფედერაციამ საგანგებო თათბირი დანიშნა, სადაც ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი სერჯიო კამპანა და მწვრთნელთა ასოციაციის შეფი, იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი აძელიო ვიჩინი მიიწვია. კამპანამ, რომელიც ადვოკატია, განაცხადა, რომში მაგ შეკრებაზე არ ჩავალო. თათბირში მონაწილეობის ნაცვლად მას გუშინ მილანში პრეს-კონფერენცია უნდა გაემართა.

— ფიქრისა და ყოყმანის დრო არ არის. თუ გაფიცვაა, გაფიცვა იყოს — განრისხდა ვიალი.

— გვეყო ლმობიერება. ბევრჯერ გავუწიეთ ფედერაციას ანგარიში. დროა ჩვენი გავიტანოთ — თქვა იტალიის ნაკრების ფეხბურთელმა ჩირო ფერარამ.

24 მარტს (მომდევნო კვირას) სტადიონზე ნუ მივალთ, ნახონ თავხედებმა, როგორია ცარიელი ტრიბუნები. 22 საცოდავი კაცი ირბენს წინ და უკან, მათ სირბილს კი არავინ მიაქცევს ყურადღებას.

ეს იდეა ეროვნული ალიანსის პარტიის რივიერის ერთ-ერთი რეგიონის კოორდინატორს ჯორჯიო ბორნაჩინს მოუვიდა. მან მოუწოდა კიდეც სრულიად იტალიის ქომაგთ ამგვარი კონტრგაფიცვისაკენ.

საინტერესო აზრი გამოთქვა რაგბის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა სანდრო დი სანტომ: „თუ ფეხბურთელები გაიფიცებიან, ტელევიზიას თავისუფალი დრო გამოუჩნდება. ნუ ვიღელვებთ. ის დრო რაგბით გავავსოთ. ასევე მოვიქცეთ რადიოში. კვირის გადაცემა „ფეხბურთის ყოველი წუთი“ შევცვალოთ „რაგბის ყოველი წუთით“, რაგბი სულ მუდამ თქვენს განკარგულებაშია.“

ხმა აიმაღლა იტალიის მთავრობამაც. ოთხშაბათს დიდმოხელეებმა თხოვეს ფეხბურთელებს, შეწყვიტონ მუქარა და გაფიცვაზე ხელი აიღონ. პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ლამბერტო კარდიამ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ტელეფონით ორჯერ ესაუბრა სერჯიო კამპანას და სთხოვა, სანამ მთავრობა საქმეს მოაგვარებს, მათ ითამაშონ. კამპანა თავისაზე დადგა.

მწვრთნელებს სხვაგვარი რეაქცია ჰქონდათ. „ლაციოს“ მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა, რომელიც გაფიცვის მოწინააღმდეგეა, თქვა, კლუბების მეპატრონეები რომ გაფიცულიყვნენ (ფედერაციაში ფულს ისინი რიცხავენ) გავიგებდი, მდიდარი ფეხბურთელების გაფიცვა კი არ მესმისო. „იუვენტუსის“ მწვრთნელს მარჩელო ლიპის კი ოთხშაბათს „რეალთან“ ჩემპიონთა თასის საპასუხო მატჩი აფიქრებს და ამიტომაც, იქნებ გაფიცვა კარგიც იყოსო, იფიქრა. მისმა გუნდმა ბოლო რვა დღეში სამჯერ ითამაშა და ახლა მცირე დასვენება არ აწყენს. და მაინც, თუ იფიცებით, მითხარით და პარასკევს ამხანაგურს ვითამაშებო — თქვა ლიპიმ.

იტალიაში 1968 წლის მერე ფეხბურთელებმა რამდენჯერმე სცადეს გაფიცვა. მაშინ, 69-ში, მოთამაშეებმა, 20 თამაში არ თუ ვერმონაწილეობის გამო, შემოსავლის 40 პროცენტით დაქვითვის წინააღმდეგ გაილაშქრეს. შემდეგი მოვლენებიდან ყველაზე საგულისხმო 1994 წლის 17 დეკემბერს მოხდა, როცა თამაშები 45 წუთით გვიან დაიწყო. ვნახოთ, რა მოხდება ზეგ.

საფეხბურთო ტოტალიზატორი

## ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №22 16-17 მარტი

1. კალიარი — მილანი — იტალიის ჩემპიონატი
2. იუვენტუსი — უდინეზე — იტალიის ჩემპიონატი
3. პარმა — კრემონეზე — იტალიის ჩემპიონატი
4. ნაპოლი — ტორინო — იტალიის ჩემპიონატი
5. მერიდა — ატლეტიკო — ესპანეთის ჩემპიონატი
6. ბარსელონა — კომპოსტელა — ესპანეთის ჩემპიონატი
7. რეალი — ალბასეტე — ესპანეთის ჩემპიონატი

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 16 მარტს 16.00 სთ-ზე

№21 ტირაჟის შედეგები

1. 0-1 2. 4-0 3. 2-1 4. 1-1 5. 0-2 6. 4-1 7. 3-0

მოგებები: ხუთი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. სუპერ JACK POT შესაძლებია, 420, 1370 და 3000 ლარი გადავიდა შემდეგ ტირაჟში. სარეზერვო ფონდი 560 ლარი.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (მო): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 კომბინაცია) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ეკაზი“ (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

# დიდი მწვრთნელის სიყვარული



კონსტანტინ ბესკოვი გამორჩეული ფიგურაა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. საერთოდ, იშვიათია, როცა დიდი ფეხბურთელი დიდი მწვრთნელიც ხდება. ბესკოვიც სწორედ ერთი ასეთი გამონაკლისია. იგი მოსკოვის „დინამოს“ თავდასხმის ლიდერი იყო 1941-1954 წლებში, შემდეგ კი წარმატებებს მიაღწია სამწვრთნელო ასპარეზზე. ქართველებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გვაქვს მის სამწვრთნელო მოღვაწეობასთან — 1963-1964 წლებში, როდესაც პირველად დაინიშნა საბჭოთა ნაკრების მწვრთნელად, გუნდში არ იწვევდა მიხეილ მესხს და სლავა მეტრეველს. ქართველ ფეხბურთელებს ნაკრების მწვრთნელობისას არც შემდგომ სწყალობდა, მაგრამ ეს უფრო ტრადიციული რუსული დერჟავნიკობის გამოვლენაა ალბათ, და არა ბესკოვის, როგორც მწვრთნელის, უნიათობა. თავის დროზე მან უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი „სპარტაკიდან“, სხვების მიერ დაწუნებული (იარცევი, გესი, შავლო, გავრილოვი, რომანცევი) და სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელებით (ხიდიატულინი, ჩერენკოვი, დასაევი), საჩემპიონო გუნდი დააყენა, საკუთარი სტილი გამოუმუშავა და ისეთი მყარი საფუძველი ჩაუყარა, მის შემდეგ მოსული მწვრთნელების ხელშიც კი, მიუხედავად მოთამაშეთა განუწყვეტელი წასვლა-მოსვლისა, „სპარტაკმა“ თავისი სახე შეინარჩუნა და რუსეთის ფეხბურთის უცვლელი ლიდერი გახდა. თუმცა ბესკოვის „სპარტაკმა“ ევროპულ სარბიელზე რაიმე განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია, ბესკოვი მაინც თავისი საქმის მცოდნედ და დიდ ავტორიტეტადაა აღიარებული. ამიტომ მკითხველთათვის, ალბათ, საინტერესოა მისი, როგორც პიროვნების სახე და ამაზე მის მეუღლეზე, ვალერია ბესკოვაზე უკეთ ვინ ილაპარაკებს.

ორიოდე სიტყვა მის შესახებაც. ვალერია ბესკოვა ძალზე პოპულარული პიროვნებაა მოსკოვის საფეხბურთო, სამსახიობო და არა მარტო ამ წრეებში. ამას განაპირობებდა მისი სილამაზე და დიდსულოვნება, სამაგალითო ერთგულება მეუღლისადმი. დანარჩენს შეიტყობთ ჟურნალისტ ალექსეი ლებედევის ინტერვიუდან ვალერია ბესკოვასთან.

— თქვენ, მსახიობმა, ბევრი რამ გაიღეთ მსხვერპლად, როცა საფეხბურთო გმირს გაჰყევით ცოლად?

— როცა ერთმანეთი გავიცანით, 17 წლისა ვიყავი და, რა თქმა უნდა, მაშინ არაფრის დათმობა არ მიხდებოდა. უბრალოდ, სიგიჟემდე შემიყვარდა. მისთვის ჭკუის დაკარგვა არ იყო ძნელი. მგონი, იგი ყველას უყვარდა, ვინც იცნობდა, გასათხოვარ გოგონებს განსაკუთრებით.

— კი მაგრამ, რა იყო მასში ასეთი განსაკუთრებული?

— სილამაზე, მამაკაცურობა! ასეთებზე ახლა ამბობენ — სუპერმენიაო. რა თქმა უნდა, არ დაგიმალავთ, იმანაც იმოქმედა, რომ უკვე სახელგანთქმული ფეხბურთელი იყო. თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ გავიგე, რაც მოსკოვის „დინამომ“ თავისი ცნობილი ტურნე მოაწყო ინგლისში...

— ცნობილია, რომ ბესკოვი ბავშვობიდან ოცნებობდა ფეხბურთელობაზე. თქვენ?

— მეც ყოველთვის მსახიობობისკენ ვისწრაფვოდი. ჯერ პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიულ წრეში ვცეკვავდი, შემდეგ, როცა უკვე ბესკოვის ცოლი გავხდი, ჩავაბარე გლაზუნოვის სახელობის მუსიკალურ-თეატრალურ სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დახურვის შემდეგ გადავედი სამსახიობო ფაკულტეტზე, სადაც ჩემი მასწავლებლები ცნობილი ოსტატები რაევსკი, კონსკი, ლესლი, ხოლო თანაკურსელები — მარკ ზახაროვი, ლუსიენა ოვჩინიკოვა, იური გორობეცი და სხვა ავტორიტეტები იყვნენ. მე დრამის მსახიობი გავხდი. თავიდან კოსტია სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩემი არჩევანისა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაესწრო გამოცდებს და ინსტიტუტში განხორციელებულ საჩვენებელ დადგმებს, დამთანხმდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ერმოლოვას სახელობის თეატრში. მერე კი, როცა ქალიშვილი წამომეზარდა, არჩევანის წინაშე დავდექი: ოჯახი ან თეატრი. ავწონ-დავწონე ყველაფერი და სახლი ვარჩიე. ცოლი-მსახიობი და ქმარი-სპორტსმენი პრაქტიკულად შეუთავსებელი წყვილია. ორივე სულ „ბორბლებზე“ ვტრიალებდით: ეს თამაშებიო, სპექტაკლებიო, რეპეტიციებიო, ვარჯიშები. ზოგჯერ შვებულებაშიც არ მივდიოდი, რადგან ეს ჩემი ქმრის ნახვის ერთადერთი საშუალება იყო.

— სანამ ბესკოვს გაიცნობდით, ფეხბურთი თუ გაინტერესებდათ?

— უბრალოდ, ვიცოდი ასეთი თამაშის შესახებ. ჩემი მშობლები იცნობდნენ სტაროსტინს. ასე რომ, რაღაც წარმოდგენა მქონდა ფეხბურთზე. იგი ხომ ომამდეც პოპულარული იყო. ფეხბურთელების ცოლები საგანგებოდ იკერავდნენ ტანსაცმელს, როცა კი სტადიონზე წასვლას დააპირებდნენ. რამდენჯერ გამიგია: „კლავდია სტაროსტინას ეს ეცვა, ვერა პროკოფიევას ეს... ვერა სტაროსტინას — აუჰ!“ მე თვითონ ფეხბურთი თვალნათლივ მხოლოდ 45-ში ვნახე. ნაცნობ ბიჭებს ჯერ კიდევ კოსტიასთან შეხვედრამდე დავყავდით სტადიონზე. მხოლოდ ერთი ფეხბურთელის გვარი ვიცოდი — ტროფიმოვის, რომელსაც ჩემი დის მეგობარი ცოლად გაჰყვა. სერიოზულად ფეხბურთი ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ბესკოვთან ერთად შემოვიდა.

— თქვენი გაცნობის ისტორიის შესახებ ბევრჯერ მსმენია, მაგრამ დღემდე მიჭირს დაჯერება. ნუთუ მართლა ასე იყო?

— რა თქმა უნდა. ეს იყო ერმიტაჟის ბაღში, 45 წლის ივნისში. კოსტია მეგობართან ერთად მოდიოდა, დამინახა თუ არა, თქვა: „აი, ამ გოგოს კი მოვიყვანდი ცოლად“. მაშინ იგი 24-ისა იყო... არა, თვითონ არ უცდია გამოცნაურება, მისი მეგობრები მომიახლოვდნენ და ჩემთან დალაპარაკება სცადეს... მე კი ჭირვეული ვიყავი: არ მომეწონენ და ჩვენი გაცნობაც გადაიდო.

— როგორღა გიპოვნათ?

— 14 თუ 15 ოქტომბერს. მოსკოვის „დინამო“ ცსკა-ს ეთამაშებოდა. „დინამომ“ წააგო. მატჩის შემდეგ რესტორან „ავრორაში“, ამჟამინდელ „ბუდაპეშტში“ არმიელებმა გამარჯვება აღნიშნეს. რესტორანში დინამოელებიც იყვნენ, მათ შორის — ტროფიმოვი მეუღლითურთ. იქ მაშინ ახალგაზრდა დედაჩემი (იგი 36-ისა იყო), ჩემი და და სიძეც აღმოჩნდნენ და ტროფიმოვის მაგიდას შეუერთდნენ. კოსტიაც იმ მაგიდასთან იჯდა ვიღაც ქალიშვილთან ერთად. შემდეგ ტროფიმოვა დედაჩემთან მოვიდა. სწორედ მან მითხრა, რომ დინამოელები ინგლისში მიემგზავრებოდნენ. ვკითხე, მათგან ვინ გამომადგება საქმროდ-მეთქი. არის ერთი — კოსტია ბესკოვი, — მიპასუხა მან. მაშინ მე მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე. 2 ნოემბერს ბესკოვი გორკის ქუჩაზე შემხვდა, მეგობართან ერთად მომიახლოვდა და მკითხა, მახსოვდა თუ არა ჩვენი შეხვედრა ერმიტაჟის ბაღში. ვუპასუხე, რომ არაფერი მახსოვდა. „ეჰ, როგორ არ გვინდა ინგლისში წასვლა,“ — თქვეს მათ. აი, ამ ფრაზას კი აჰყევი და გამახსენდა საუბარი ოქსანასთან. „თქვენ დინამოელები ხართ?“ „კი“. და გამეცნენ: „კოსტია — საშა.“ „რა გქვიათ?“ „კონსტანტინე“ — გამიმეორა. ალბათ ბედისწერა იყო ყველაფერი. შემპირდა, რომ ინგლისიდან ჩამოსვლის შემდეგ დამირეკავდა. მეორე დღესვე ოქსანა დამიკავშირდა. მან უკვე იცოდა ჩვენი გაცნობის შესახებ. „კოსტია ვასილს ურეკავს, ისე გააკეთე, რომ ეგ გოგო დღესვე ვნახოო. მოხვალ? კოსტიაც იქნება,“ — მითხრა მან.

— და თქვენ...

— გავფრინდი!

— და ტკბილი ცხოვრები დაიწყო?

— არა. დინამოელები ინგლისში გაფრინდნენ. იქ 18 ნოემბერს კოსტია 25 წლის გახდა და მე მისალოცი გავუგზავნე. 7 დეკემბერს დაბრუნდნენ.

— თქვენ ყვავილებით შეხვდით...

— ამის სურვილი მქონდა, მაგრამ აეროდრომზე არ წამიყვანეს. მანქანები ცოტა იყო და გვითხრეს, რომ ერთ ფეხბურთელზე ერთი დამხვედრი უნდა ყოფილიყო. ბესკოვის დედა წავიდა. კოსტია რომ ჩამოვიდა, ყველაფერი განუმარტეს. დამირეკა, შევხვდით და ავედით საერთო ბინის პატარა ოთახში, მის მშობლებთან.

— მოკლედ, ერთი ნახვით შეყვარებაა...

— ნამდვილად ასეა.

— ვინმე არ გირჩევდათ, რომ გადაგეფიქრებინათ?

— დედა მეუბნებოდა, რომ არ აჩქარებულიყავი. მაგრამ მე ხომ შეყვარებული ვიყავი. კოსტიაც, რა თქმა უნდა.... ასეთი სიყვარული გვაქვს დღემდე.

— ასე როგორ გაგიმართლათ?

— ეს, ალბათ, წმინდა ვალენტინის წყალობაა, ჩვენ ხომ 14 თებერვალს ვიქორწინეთ. თუმცა მაშინ ამ დღესასწაულის შესახებ სრულიად არაფერი ვიცოდით... საერთოდ, ბესკოვი კარგი ფსიქოლოგია. მან ხომ დანახვისთანავე ამომირჩია. ასევეა ფეხბურთელების მიმართაც — შეხედავს ბიჭს ერთხელ და აბსოლუტურად ზუსტად შეუძლია იწინასწარმეტყველოს მისი პროფესიული ბედი. ალბათ ამის გამოცაა, რომ მრავალი ოსტატი აღზარდა. მათი რიცხვი გაცილებით მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო — უბრალოდ, ზოგი არ გაჰყვა ფეხბურთს, ზოგს მშობლებმა მიანებებინეს თავი. მაგალითად, იგორ კიო, რომელთანაც დღესაც ვმეგობრობთ. ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელი იყო! როცა იგორი ფეხბურთიდან მოულოდნელად გაუჩინარდა, მე და კოსტია ცირკში მივედით იგორის მშობლებთან. კოსტია მათ არწმუნებდა: ძალიან დასანანი იქნება, თუ ასეთი ნიჭი დაიკარგებაო. ბესკოვი მაშინ 30 წლის ახალგაზრდა იყო, მაგრამ მაშინვე შეეძლო ფეხბურთელის ამოცნობა. ემილ კიომ გვითხრა: „ჩვენ დინასტია გვაქვს, გახდება თუ არა იგი ფეხბურთელი — არ ვიცი, ცირკის მსახიობი კი — აუცილებლად!“ ბესკოვი „მოზრდილ“ ფეხბურთშიც ასეთი იყო — ნათლად ხედავდა, ჰქონდა თუ არა ფეხბურთელს პერსპექტივა. თუ აიყვანდა მოთამაშეს, ჩათვალეთ, რომ არ შეცდებოდა. ალბათ, მეც ასე შემამჩნია...

— თქვენი ერთად ცხოვრების დროს თუ იყო შემთხვევა, როცა გაგაკვირვათ?

— კოსტია სულ მუდამ მაკვირვებდა — თავისი სიკეთით, სამართლიანობით. ის ძალიან კეთილი ადამიანია. ძალიან! მასზე ისეთი წარმოდგენა აქვთ, რომ იგი ძალიან მკაცრი, პირქუში და ცივი ადამიანია. მაგრამ ის არ არის მომთხოვნი, ამას ფეხბურთი ითხოვდა მისგან. დამნაშავე ბესკოვი კი არა, ის ფეხბურთელია, ვინც სიმკაცრეს იმსახურებს. მასთან მოხვედრილ ახალგაზრდებს წარმატებისგან და მაღალი ანაზღაურებისგან თავბრუ ეხვეოდათ, ცხოვრებისეული გამოცდილება კი არ ჰქონდათ. ამიტომ არღვევდნენ რეჟიმს, გუნდის საქმე კი ფუჭდებოდა. ბესკოვი ყოველთვის ამის წინააღმდეგ იბრძოდა, ობიექტურობას და პრინციპულობას იჩენდა. სხვანაირად შეუძლებელია.

და თუ კონკრეტული მაგალითი გინდათ, გეტყვით: იმით გამაკვირვა, რომ მამაჩემს გამოექომაგა. ეს ვაჟკაცური საქციელი იყო. იმ წლებში ამას ბევრი ვერ გაბედავდა. მართალია, ბერიასთან არ მისულა, მაგრამ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე აბაკუმოვთან მივიდა და უთხრა: „თუ ჩემი სიმამრი დამნაშავეა, დასაჯეთ, თუ არა — დაგვეხმარეთ...“ გაარჩიეს საქმე და მამა გამოუშვეს. მოკლედ კოსტიამ იგი სიკვდილს გადაარჩინა. რისკი დიდი იყო: შეიძლებოდა ისიც დაეჭირათ „ხალხის მტრის ხელშეწყობისთვის“.

— საერთოდ, თქვენს ქმარს ხშირად სთხოვდნენ დახმარებას?

— ხშირად. ხანდახან უცნობი ადამიანებიც კი. იცოდნენ, რომ მას ყველგან პატივს სცემდნენ — ქალაქკომში, ქალაქის საბჭოში თუ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. კოსტია მუდამ სამართლიანობის მომხრე იყო და შიშს არ განიცდიდა უდანაშაულოდ დაჩაგრულის დაცვისას.

— მასთან შეხვედრამდე თუ გიყვარდათ ვინმე?

— ბავშვურად კი. ჩვენი კომპანია გვქონდა — ბიჭებთან ვმეგობრობდით. მაგრამ არაფერი სერიოზული!

— ქმარზე თუ გიეჭვიანიათ?

— ყოფილა ასეთი შემთხვევები.

— კონფლიქტები თუ გქონიათ?

— რაღა სალაპარაკოა, ჩვენ ხომ ოქროს ქორწილს მივაღწიეთ. სერიოზული ბზარი ჩვენს ურთიერთობაში არასოდეს გაჩენილა. კი ვეჭვიანობდით, მაგრამ უფრო ხუმრობით. განქორწინებამდე საქმე არ მისულა... მძიმე ცხოვრებისეული სიტუაციები კი ყოფილა. როგორც ყველასთან. სიყვარულმა თუ გადაგვარჩინა.

— ამბობენ, ბესკოვს რთული ხასიათი აქვსო...

— ის ხომ პიროვნებაა! რაღაცაში მართლაც რთულია. მას აქვს თავისი აზრი, რომელსაც ყოველთვის იცავს. მაგრამ ოჯახში სრულიად სხვანაირია, ვიდრე სამუშაოზე. სახლში არაა საჭირო გარკვეული ვარჯიშების შესრულება, ანბანური ჭეშმარიტებების დაცვა. ჩვენსას სრული წესრიგია, სიმკაცრის გამოჩენის აუცილებლობა არაა.

— როგორ ეგუებოდით განშორებებს?

— პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი ხოლმე. მერე, როცა ლუბოჩკა დაიბადა, უფრო გამიადვილდა.

— სხვა ფეხბურთელების ცოლებთან თუ გქონდათ ურთიერთობა?

— ყველასთან არა. მე ხომ გოგო ვიყავი, როცა მათ კომპანიაში მოვხვდი. ზოგთან ძალიან ვმეგობრობდი, მაგალითად სერგეი სალნიკოვის ცოლთან, ნინასთან. ბუნებრივია, ოქსანა ტროფიმოვასთან. დღემდე ვმეგობრობ ტორპედოელი პავლე სალომატინის ცოლთან.

— თქვენი მეუღლეების თამაში თუ გაგიხარებიათ?

— არა. ტრიბუნაზე რომ ვისხედით, ვნერვიულობდით. „იმან ააცდინა!“ „ამან ვერ შეაგდო!“

— ბესკოვი არ გიშლიდათ ფეხბურთზე სიარულს?

— რას ამბობთ! ყველა მატჩზე დავდიოდი, სანამ კოსტია თამაშობდა. მერე, მწვრთნელი რომ გახდა, თავიდან მაშინაც დავდიოდი. მაგრამ შემდეგ, როცა უკვე „სპარტაკს“ ედგა სათავეში, შევწყვიტე სიარული. ნერვები აღარ მყოფნიდა. როცა მოთამაშე ხარ, შენს თავზე ხარ მარტო პასუხისმგებელი, მწვრთნელობისას კი... ხომ იცით, თუ გუნდმა წააგო, მწვრთნელს ბრალდება ყველაფერი. ამიტომ ვიჯექი სახლში და ვახშამის მომზადებას ვამჯობინებდი. ჩვენთან მატჩის შემდეგ ყოველთვის ბევრი ხალხი იკრიბებოდა. აუცილებლად მოდიოდა ანდრეი სტაროსტინი. ისხდნენ და თამაშს არჩევდნენ.

— თქვენ, მარტო დარჩენილები, თუ არჩევდით მატჩს?

— რა საჭირო იყო? არც ერთმა ცოლმა არ იცის ფეხბურთი ქმარზე კარგად. თავს უფლებას ვერ მივცემდი მის საქმეებში ჩავრეულიყავი.

— თავისი მოთამაშეების მეუღლეებთან ბესკოვს ჰქონდა ურთიერთობა?

— ახლო — არავისთან. ამხანაგურ რჩევას კი ხანდისხან აძლევდა ხოლმე. უარს არავის ეუბნებოდა. განსაკუთრებული კითხვებით მასთან მაინცდამაინც არც მოსულან. მე კი სურვილი მქონდა მათთვის ამეხსნა, რომ ძალიან გაუჭირდებათ, როცა მათი ქმრები დაამთავრებენ მოთამაშის კარიერას, რადგან, კარიერასთან ერთად, შფოთიანი ცხოვრებაც მთავრდება: გამარჯვებები, სავსე სტადიონები, უამრავი მეგობრები მატჩის შემდეგ, რესტორნები, ბევრი ფული. არცერთი ფეხბურთელი, სანამ თამაშობს, არ ფიქრობს მომავალზე, მწვრთნელიც ყველა ვერ ხდება. ამ დროს ბევრი ტოვებს ქმარს... აქ რა უნდა გირჩიოთ — უსიყვარულოდ ნუ გათხოვდებით!

— საზღვარგარეთ თუ გაჰყოლიხართ?

— არა. როცა ქმარი თამაშობდა, მაშინ არ შეიძლებოდა. შემდეგ, როცა მწვრთნელი გახდა — უკვე მე აღარ მინდოდა. მართალი რომ გითხრათ, მეშინოდა: რომ წაეგოთ, მე არ დამბრალებოდა — ხომ გაგიგიათ, ქალი გემზე უბედურების ნიშანიაო!

— თქვენი ქალიშვილი ლუბა ვლადიმერ ფედოტოვს გაჰყვა ცოლად. თუ მოგეწონათ მისი არჩევანი?

— რა თქმა უნდა! ვალოდია შესანიშნავი ადამიანია.

— სიდედრი სიძეზე ასე ამბობდეს, იშვიათია...

— დამიჯერეთ, ეს ასეა. ის და ჩემი ქალიშვილი მეზობელ სადარბაზოში ცხოვრობენ. ვალოდია ჩვენთვის შვილივითაა. მამამისს, გრიგორი ფედოტოვს, სამწუხაროდ, არ ვიცნობდი. მაგრამ მასზე საყოველთაო აზრი ასეთია — როცა შვილიშვილი დაიბადა, ყველა ამბობდა, რომ საბჭოთა პელე იქნებაო. წარმოიდგინეთ: ერთი ბაბუა — გრიგორი ფედოტოვი! მეორე ბაბუა — ბესკოვი. მამა — ძალიან კარგი ფეხბურთელი ვლადიმერ ფედოტოვი! მაგრამ გრიშენკა ფეხბურთზე [illegible] მერე კი, როცა [illegible] ანი იყო. ფეხბურთში ბალეტისა არ იყოს, ასეა: რაც [illegible] მოიმუშაო, მერე ველარ შეძლებ.

— აბა, რას აკეთებს გრიშა?

— ავტოსამშენებლო ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინერია.

— შვილიშვილს ვინ ზრდიდა?

— ძნელი სათქმელია. ვალენტინა ფედოტოვაც, კოსტია და მეც — ყველას ჩვენი წვლილი გვიდევს ამაში.

— სამზარეულო... ეს თქვენი სამფლობელოა?

— აქ კოსტია არ ერევა.

— მისი კულინარული მოთხოვნილებები შეიცვალა?

— არა. მაგალითად, დღემდე უყვარს ძეხვიანი ერბოკვერცხი.

— რა ჩაიცვას, როგორ დაივარცხნოს თმა — ეს თქვენი გადასაწყვეტია?

— არა, ამაში ჩემი დახმარება არ სჭირდება. კოსტია ყოველთვის შესანიშნავად გამოიყურებოდა — კარგად და მოდურად ეცვა, აკურატულად ჰქონდა თმა დავარცხნილი. ვალენტინ ივანოვი თავის წიგნში წერს, რომ იგი ყოველთვის დიპლომატივით გამოიყურება.

— თქვენ, როგორც მსახიობს, რჩევებს გაძლევდათ?

— როცა თეატრში ვმუშაობდი — კი. და ყოველთვის საქმიანს. მეც ვუჯერებდი.

— თქვენ რაიმეთი შეგცვალათ?

— ბევრით! ის ხომ ბუნებით პედაგოგია. მეც, ჩემი მხრივ, გარკვეული გავლენა მოვახდინე მასზე. ჩვენ ძალიან ვავსებთ ერთმანეთს. შეხედულება ცხოვრებაზეც ერთნაირი გვაქვს და პოლიტიკაზეც. თუმცა ამაზე იშვიათად ვლაპარაკობთ.

— ჰოროსკოპებისა თუ გჯერათ?

— მჯერა, იმას კი ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემს მეუღლეს აინტერესებდეს. ჩემი ზოდიაქოს ნიშანი კირჩხიბია, და დრაკონის წელში ვარ დაბადებული. კოსტია კი შესაბამისად — მორიელი და მაიმუნია. ვნახეთ ერთხელ ჰოროსკოპი და იდეალური წყვილი გამოვდექით.

— 8 მარტს ყოველთვის აღნიშნავდით?

— რა თქმა უნდა.

— რას გჩუქნიდათ?

— ადრე ძნელი იყო საჩუქრის ყიდვა, მაგრამ კოსტია ყოველთვის რაღაცას გამოძებნიდა ხოლმე. თუმცა მისთვის ეს შედარებით ადვილი იყო — საზღვარგარეთიდან ჩამოჰქონდა. მისი ყველა საჩუქარი შესანიშნავი იყო და ყოველთვის სადღესასწაულო. დაბადების დღეს კი ყოველთვის ყვავილების დიდ თაიგულს მჩუქნიდა.

— თუ საიდუმლო არაა, ყველაზე სამახსოვრო საჩუქარი რომელი იყო?

— შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან 1958 წელს ქურქი ჩამომიტანა, ძალიან ლამაზი, ისეთი არავის ჰქონდა. იმ ქურქს ძალიან დიდი ხანი ვატარებდი.

— თეატრში ხშირად დადიხართ?

— მიუხედავად მისი მოუცლელობისა, არც ერთ პრემიერას არ ვტოვებდით. განსაკუთრებით ვახტანგოვის, ბავშვთა ცენტრალური, მოსსოვეტის, მაიაკოვსკის თეატრები გვიყვარდა. ტოვსტონოგოვის არც ერთი სპექტაკლი არ გაგვიცდენია. მოისეევის ანსამბლის ყველა კონცერტსაც აუცილებლად უნდა დავსწრებოდით და, რა თქმა უნდა, დიდ თეატრშიც დავდიოდით. ახლაც ვცდილობთ თეატრი არ დავივიწყოთ.

— ბევრი ხელოვანი მეგობარი გყავთ?

— კი. დრუჟნიკოვი, ვიაჩესლავ ტიხონოვი, ლუდმილა შაპოშნიკოვა, ვლადიმერ გორდეევი, იანშინი, მენგლეტი, მირონოვა, ანდრეი მირონოვი, რეჟისორი გერასიმოვი, ევტუშენკო, ზორინი, რუბენ და ევგენი სიმონოვები, ახალი თაობიდან — შირვინტი, დერჟავინი... კარგი ურთიერთობა გვაქვს ხაზანოვთან, ვინოკურთან, ბრუნოვთან, ლეშჩენკოსთან, კობზონთან.

— ხალხს ბესკოვი ახსოვს?

— ქუჩაში მუდამ ესალმებიან! მადლობას უხდიან და ჯანმრთელობას უსურვებენ.

— ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში?

— ასეთი ბევრი იყო. თუნდაც საყვარელ ადამიანთან ერთად ოქროს ქორწილის მიღწევა ბედნიერება არაა?! მთელი 50 წელი, როგორც ერთი — ბედნიერია.

— მოდით, ერთი წამით წარმოვიდგინოთ: თქვენ ისევ ჩვიდმეტის ხართ... ვის გაჰყვებოდა პატარა ლეროჩკა — ისევ ფეხბურთელ კოსტია ბესკოვს თუ „ახალ რუსს“?

— ნუთუ ამდენი ხანი ტყუილად გელაპარაკეთ...

გაზეთ „ტვოი ფუტბოლიდან“ თარგმნა
თამაზ კიკნაძემ

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

რუსეთის ჩემპიონატი. მესამე ტური
15-16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი მოსკოვი — სპარტაკი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ალანია — ტორპედო | 1,4 | 2,8 | 4,4 |

გერმანიის ჩემპიონატი. 27-ე ტური
15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — ფრაიბურგი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| კიოლნი — მიუნხენ 1860 | 1,6 | 2,7 | 3,4 |

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| აინტრახტი — ლევერკუზენი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| შალკე — ურდინგენი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| შტუტგარტი — დორტმუნდი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ჰანზა — ჰამბურგი | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| ზანქტ პაული — მიონხენგლადბახი | 2,0 | 2,5 | 2,5 |

17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — კარლსრუე | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ინგლისის ჩემპიონატი. 31-ე ტური
16-18 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ბოლტონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,2 |
| ლიდსი — ევერტონი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ლივერპული — ჩელსი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| მანჩესტერ სიტი — საუთჰემპტონი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| მიდლსბრო — ნოტინგემი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ნიუკასლი — ვესტ ჰემი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ქუინზ პარკი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,4 | 3,0 | 1,35 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,7 |
| შეფილდი — ასტონ ვილა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უიმბლდონი — არსენალი | 3,4 | 3,0 | 1,5 |

იტალიის ჩემპიონატი. 26-ე ტური
16-17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ბარი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| კალიარი — მილანი | 2,6 | 2,4 | 2,0 |
| ინტერი — სამპდორია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| იუვენტუსი — უდინეზე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,0 |
| ლაციო — ფიორენტინა | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ნაპოლი — ტორინო | 1,6 | 2,4 | 4,0 |
| პადოვა — რომა | 1,9 | 2,5 | 2,7 |
| პარმა — კრემონეზე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,2 |
| პიაჩენცა — ვიჩენცა | 1,6 | 2,6 | 3,6 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 31-ე ტური
16-17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკი — ვალენსია | 1,9 | 2,5 | 2,7 |
| ბარსელონა — კომპოსტელა | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,0 |
| ბეტისი — სალამანკა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ოვიედო — ტენერიფე | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| რეალი — ალბასეტე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,4 |
| რაიო ვალეკანო — სოსიედადი | 2,2 | 2,6 | 2,2 |
| სარაგოსა — სანტანდერი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| მერიდა — ატლეტიკო | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ვალიადოლიდი — ხიხონი | 2,0 | 3,0 | 2,0 |
| დეპორტივო — სევილია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| სელტა — ესპანიოლი | 2,2 | 2,3 | 2,5 |
| კალიარი — მილანი | 2,6 | 2,4 | 2,0 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. 29-ე ტური
16-17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰართსი — ჰიბერნიანი | 2,2 | 2,6 | 2,2 |
| რეინჯერსი — სელტიკი | 1,9 | 2,5 | 2,7 |

საფრანგეთის თასის მეოთხედფინალი.
16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონპელიე — კანი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ვალანსი — ოსერი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| ნიმი — სტრასბური | 2,9 | 2,8 | 1,7 |
| მარსელი — ლილი | 1,4 | 3,0 | 4,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა
გერმანია. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | | 1-0 | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | | 1-2 | 0-0 | | | 1-3 | 2-1 | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | | 1-0 | | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | 1-0 | 4-1 | 3-4 | | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | | 1-1 | | | 2-0 | 1-2 | |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | 0-1 | ■ | | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | | | 1-1 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | | 3-3 | | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | ■ | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17<br>16 | UDINESE<br>FC SCHALKE 04 | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

**ჭორებს** ბოლო მოეღო. საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) პრეზიდიუმის დელეგაცია კვირას ესტუმრა ქუთაისს და გაარკვია, რომ ცნობილი მწვრთნელი, „პეტროვიჩად“ ცნობილი დუგლას კავთელაშვილი (ფოტოზე) კვლავაც უხელმძღვანელებს ქვეყნის ჩემპიონს — „აია-პეის“.



კომისიამ ფეხ-და-ფეხ გაზომა ცენტრალური სტადიონის რაგბის მოედანი, რომელზეც „აია“ მართავს მატჩებს და გასაოცარი რამ აღმოაჩინა: თურმე ნუ იტყვით, მინდვრის სიგანე 80 (!) მეტრი ყოფილა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზე უთქვამთ. კომისიამ ქუთათურებს ურჩია, მოედანი ნორმამდე დაავიწროვეთ, რითაც მეორე პრობლემაც გადაიჭრებაო.

## „პეტროვიჩი“ არსად წასულა!

საქმე ისაა, რომ შარშან რიონისპირა ქალაქის სტუმრები ერთთავად ჩიოდნენ, მაყურებლები მოედანს გარს შემოსჯარვიან და გარემარბებს თამაშში ერთობ უშლიან ხელსო. გარდა ამისა, გაპარტახებული ტრიბუნების რკინა-ბეტონის ნაშთიც მოასპარეზეთათვის სახიფათოაო.

დედაქალაქელი სტუმრების წინადადებით, ქუთათურებმა დავიწროებულ მოედანს მთელი პერიმეტრის გაყოლებაზე მავთული ან თოკი უნდა შემოავლონ, რაც მაყურებელს სათანადო დისტანციას დააცვევინებს.

## კაცთა ნაკრების დიდი წმენდა

ოთხშაბათ დილით რუმინეთს საწვრთნელი მატჩების გასამართად ავტობუსით გაემგზავრა საქართველოს კაცთა ნაკრები. ჩვენები ემზადებიან ფირა-ს პირველობის გადამწყვეტი მატჩისთვის, წითელ პარასკევს, 12 აპრილს ქუთაისში **ჩეხეთთან** რომ უნდა გამართონ.

ქართველთა დელეგაციაში 30 კაცია. უფროსობა: გურამ მოდებაძე („გუმარი“, უფროსი მწვრთნელი), დავით კილასონია („ჯიხა“, თანა-მწვრთნელი), მალხაზ ჭეიშვილი („ყოჩები“, მწვრთნელი), ზაზა თხელიძე („აია“), დავით სერგეენკო („გუმარი“, ექიმი).

მოთამაშეები:: მცველი და გარემარბები (15, 14, 11): გუჯა იოვაძე და არჩილ ქავთარაშვილი („თბილისი“), გიორგი ბუგიანიშვილი („გუმარი“) და სპირიდონ ლიპარტელიანი („ყოჩები“); შუამარბები (13, 12): პაატა ტყაბლაძე („აია“), სანდრო საკანდელიძე („ყოჩები“) და პალიკო ჯიმშელაძე („გუმარი“); გარე ნახევარმცველები (10): კახა მაჩიტიძე („გუმარი“) და ბესო ტეფნაძე („ყოჩები“); შერკინების ნახევარმცველები (9): ზაზა ხუციშვილი („აზოტი“) და შოთა მოდებაძე („გუმარი“); ბურჯები (1, 3): დავით აშვეთია და აქსენტი გიორგაძე („აია“) და გუგა ბაბუნაშვილი („გელათი“); კვაჭები (2): დიმიტრი ობოლაძე (კაპიტანი) და მევლუდ მთიულიშვილი („გუმარი“); მეორეხაზელები (4, 5): სოსო პარწიკანაშვილი და ზურაბ მჭედლიშვილი („გუმარი“); ალეკო ღიბრაძე და გიო კახიანი („თბილისი“); ფრთები (6, 7): თამაზ ფხაკაძე („აია“), ზაზა ლეჟავა და რატი ურუშაძე („ყოჩები“); შემკვრელები (8): ვიქტორ დიდებულიძე („გუმარი“) და ნიკა აბდალაძე („აია“).

ნაკრებში ქვეყნის ჩემპიონატის „ა“ ჯგუფის წევრი ექვსი კლუბია წარმოდგენილი. ახალბედაც ექვსია: აშვეთია, გიორგაძე, ურუშაძე, აბდალაძე, საკანდელიძე და ბუგიანიშვილი. პოლანდიასთან სასტიკად წაგებული მატჩის მონაწილეთაგან ხუთი კაცია შემორჩენილი: კაპიტანი ობოლაძე, მაჩიტიძე, ტეფნაძე, იოვაძე და ჯიმშელაძე (ბოლო სამი მაშინ შეცვლაზე შევიდა). ამათ გარდა კასტრიკუმში იყვნენ, მაგრამ არ უთამაშიათ მჭედლიშვილს, ლეჟავასა და დიდებულიძეს.

კრივი

## პოდოლსკიდან ვეილეში

გუშინწინ საქართველოს მოკრივეთა ნაკრები პოდოლსკის გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. შეკრებაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როლანდ კვაჭაძემ თერთმეტი მოკრივე წაიყვანა: რამაზ ბებნაძე (48 კგ, გორი), გოჩა რუსია (57, ფოთი), კობა გოგოლაძე (60, ფოთი), ბესიკ ვარძელაშვილი (63, თეთრი წყარო), თენგიზ მესხაძე (67, ქუთაისი), ილია ტლაშაძე (71, გორი), მათე კოლუაშვილი (71, თბილისი), აკაკი კაკაურიძე (75, ქუთაისი), ზაზა ოჩიგავა (81, ფოთი), დავით თოდრია (81, თბილისი) და გიორგი კანდელაკი (91, გორი). ქართველი მოკრივეები პოლოდსკში 28 მარტამდე დარჩებიან, ჩვენების ვარაუდით, — რუსეთის ნაკრებთან ერთად მოემზადებიან. 28 მარტს ჩვენი გუნდი მოსკოვიდან დანიას, ქალაქ ვეილეს გაფრინდება. აქ მეორე დღეს აწონვებია, 30 მარტს კი ევროპის ჩემპიონატი იწყება. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადის ლიცენზიებს მოიპოვებენ ის მოკრივეები, რომლებიც მეოთხედფინალში გავლენ, ამათ დაემატებიან ის მერვედფინალისტებიც, რომლებიც მომავალი ჩემპიონთან წააგებენ. ჩვენი ნაკრები დანიაში ცხრა მოკრივით გამგზავრებას ვარაუდობს. 71 კილოგრამ წონაში ორი კანდიდატია: ტლაშაძე და კოლუაშვილი, ასეთივე მდგომარეობაა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც ოჩიგავა და თორდია გვყავს. შეკრების ბოლოს კონკურენტებს ერთმანეთს შეახვედრებენ და გამარჯვებულს დანიაში წაიყვანენ.

კალათბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბალი

11 მარტი

**სტუ — შევარდენი 64:61**

სტუ: ცაგარეიშვილი (2), ბოლქვაძე (4), გონაშვილი, თორთლაძე (10), ორჯონიკიძე (1), ლომიძე, მიქაძე (21), ხარაძე (19), იაზერსკისი (7)

შევარდენი: ისაკაძე (5), მაჭავარიანი (6), ფიოდოროვი (19), ესიტაშვილი (14), მოისწრაფიშვილი (3), ლვინეფაძე (7), თაბუაშვილი (7)

12 მარტი

**სდასუ — სტუ 70:59**

სდასუ: ეგუტია (1), მუშკუდიანი (7), გიგაური (2), ქევხიშვილი (10), ძიძიგური (4), ნიკოლაძე (22), ახობაძე, ჩხეიძე (20), გაბრიჩიძე (4)

სტუ: ცაგარეიშვილი (4), ბოლქვაძე (9), გონაშვილი, თორთლაძე (2), ორჯონიკიძე (5), მიქაძე (6), ხარაძე (6), იაზერსკისი (27)

**ვითა — შევარდენი 103:53**

ვითა: ტურაშვილი (7), შენგელია (4), დადიანი (38), კოკოლიშვილი (21), ორმოცაძე (12), ბოისა (21)

შევარდენი: ისაკაძე (21), მაჭავარიანი (10), ესიტაშვილი (3), მოისწრაფიშვილი (6), ლვინეფაძე (7), თაბუაშვილი (6)

13 მარტი

**ვითა — სტუ 100:62**

ვითა: ვაშაკიძე (14), ბარამიძე (23), სანაძე (8), ქარაბაკი (18), ბოისა (4), ნაცვლიშვილი (33)

სტუ: ბოლქვაძე (2), გონაშვილი, თორთლაძე (9), ორჯონიკიძე (3), მიქაძე (8), ხარაძე (21), იაზერსკისი (19)

**სდასუ — შევარდენი 73:42**

სდასუ: ეგუტია (9), მუშკუდიანი (6), გიგაური (16), ქევხიშვილი (8), ძიძიგური (12), ნიკოლაძე (6), გაჩეჩილაძე, ჩხეიძე (12), დოლიძე (2), გაბრიჩიძე (2)

შევარდენი: ისაკაძე (3), მაჭავარიანი (9), ქართველიშვილი, ესიტაშვილი (8), მოისწრაფიშვილი (3), ლვინეფაძე (11), თაბუაშვილი (8)

## სიუჟეტი კინოსთვის

1928 წლის 9 მაისს ლოს-ანჯელესის გარეუბანში, ავეჯის მაღაზიის მფლობელ პაბლო გონზალესის ბინაში დაიბადა ბავშვი, რომელსაც რიკარდო ალონსო დაარქვეს. ბავშვი იმთავითვე მოუსვენარი, დაუოკებელი ხასიათით გამოირჩეოდა. 9 წლისამ ბავშვების პატარა რაზმი შეკრიბა და ზედმეტსახელად „პანჩო“ (მექსიკელი პანჩო ვილიას საპატივცემულოდ) დაირქვა. მისი რაზმი გორგოლაჭებიანი ციგურებით დაქროდა, მაღაზიის ვიტრინებს ამსხვრევდა, გამვლელებს ხელჩანთებს სტაცებდა... ვინ იცის, რიკარდოსთვის რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, გორგოლაჭებიანი ციგურებით მანქანას რომ არ დაჯახებოდა. ბავშვი ბეწვზე გადარჩა. მხოლოდ ხელი მოიტეხა. აღელვებულმა მშობლებმა ბიბლიაზე დააფიცეს, ციგურებზე აღარასოდეს დამდგარიყო. სამაგიეროდ მამამ პანჩოს ჩოგანი უყიდა, ახლომდებარე კორტზე მიიყვანა და უთხრა: „ისწავლე ჩოგბურთი, ეს საქმეში გამოგადგება.“

მისი პირველი მასწავლებელი კორტზე 20 წლის სტუდენტი გიგელ ანხელი გახდა. მოსწავლე მასწავლებელზე ნიჭიერი აღმოჩნდა. ნახევარი წლის შემდეგ თვით მწვრთნელს უგებდა. რამდენიმე თვის მერე გონსალესმა ჩოგბურთში პირველ წარმატებას მიაღწია: თავისი სკოლის ჩემპიონი გახდა. ნიჭიერი ბიჭი შეამჩნიეს და მალე პანჩო ყველას ბრძოლას ადენდა კალიფორნიის მოზარდთა და ახალგაზრდულ პირველობაზე. მაგრამ უკვე მაშინ გონზალესის ხასიათში გაჩნდა აგრესიული მიდრეკილებები, რამაც შემდეგ „საშინელ პანჩოდ“ გადააქცია. ამბიციური ინდივიდუალისტი გამარჯვებისათვის არაფერს ერიდებოდა, თავისზე უფროს მოწინაამდეგეებს ვერ იტანდა, მსაჯებს კი საერთოდ ეზიზღებოდა. დიდი მაჯის პატრონი (სიმაღლე 192 სმ, წონა 85კგ) კორტზე საკამათო სიტუაციებში არც ისე იშვიათად მუშტებზე იყურებოდა. 1944 წელს განაწყენებულმა 16 წლის პანჩომ კოშკურიდან ჩამოათრია მსაჯი და მიბეგვა. ამ სკანდალის შემდეგ გონზალესს ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და იგი მთელმა ამერიკამ გაიცნო.

ათლეტური მანერისა და უძლიერესი მოწოდების შემწეობით პანჩომ მალე მიაღწია კორტზე წარმატებებს. უკვე 20 წლისამ მოიგო ამერიკის ჩემპიონატი ფორესტ-ჰილში. შემდეგ, 1949 წელს იგი გადის უილბდონის ნახევარფინალში, სადაც ტედ შრედერთან მარცხდება. ორი დღის შემდეგ მაინც ხდება უიმბლდონის ჩემპიონი — წყვილებში ფრენკ პარკერთან ერთად. რამდენიმე თვის შემდეგ იგი მეორედ იგებს ამერიკის ღია ჩემპიონატს. ამის მერე ყველა დარწმუნდა, რომ საჩოგბურთო ცის კაბადონზე ახალი ბრწყინვალე ვარსკვლავი გამოჩნდა...

მაგრამ გონზალესის სამოყვარულო კარიერა მალე დამთავრდა. 1944 წლის შობაზე მას შეხვდა სახელგანთქმული ჯეკ კრამერი და პროფესიონალებში გადასვლა შესთავაზა. გონზალესი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ როცა გაიგო, წელიწადში 200 000 დოლარს მისცემდნენ, დათანხმდა. 1950 წლის ზაფხულიდან გონზალესი კრამერის პროფესიონალური ლიგის წამყვანი ჩოგბურთელია. 10 წლის განმავლობაში პანჩო უმოწყალოდ უსწორდებოდა კოლეგებს და ყველა ახალბედებს, ვისაც კრამერი გუნდში იწვევდა. როზუოლი, კუპერი, ჰოადი, ოლმეტო — ყველა მათგანმა, სპორტული ნათლობა „საშინელ პანჩოსთან“ ბრძოლაში მიიღო და რაც გინდა ნიჭიერი ყოფილიყო ახალბედა, გონზალესთან პირველ პარტიას წმინდად აგებდა. უძლიერესი მოწოდება (170 კმ საათში), ბადესთან შესანიშნავი თამაში, ათლეტიზმი და მობილიზებულობა — ყველაფერ ამას შეუძლებელია არ ალეფრთოვანებინე. აი, რას ამბობდა მასზე ლიუ ჰოადი. „ნიადაგ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემს წინ არწივია უზარმაზარი ფრთებით, რომელიც მთელ მოედანს მიფარავს. რასაც პანჩო აკეთებდა, ყველაფერი გამოსდიოდა“. მეორე ლეგენდარული ჩოგბურთელი როდ ლეივერი კი ასე გამოხატავდა თავის შთაბეჭდილებას: „მისი ცქერა სიამოვნებაა, მასთან თამაში — საშინელი სასჯელი“.

პანჩო, მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტად ითვლებოდა, ყოველი მატჩის წინ ნერვიულობდა, თითქოს პირველად თამაშობდა. თამაშის დღეს მისთვის არ არსებობდა არც ოჯახი, არც ჟურნალისტები. ვარჯიშს 9 საათზე იწყებდა და შესვენებებით 5 საათს ოფლს ღვრიდა. მატჩის დღეს ჩოგბურთელი არ ჭამდა (ზოგჯერ მხოლოდ ფორთოხლის წვენს სვამდა). ფიქრობდა, რომ მშიერი უკეთ ითამაშებდა.

პანჩოს 7 ცოლისგან 8 ბავშვი ჰყავდა. მაგრამ ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალი იყო. როგორც ნამდვილი ლათინოამერიკელი, იგი არც ერთ ქალს ხელიდან არ უშვებდა და მზად იყო ყველასთან რომანი გაება. მორალური კატეგორიები: „მეგობრის ცოლი“ და „შეფის ქალიშვილი“ მისთვის არ არსებობდა. სწორედ მისი „მონდომებით“ დაინგრა ლიუ ჰოადის, კენ როზუოლის და ჯეკ კრამერის, ერთი შეხედვით, მტკიცე ოჯახები.

გონზალესის სასიყვარულო გამარჯვებათა სია მართლაც შთამბეჭდავია! ჩოგბურთელების ცოლების გარდა ესენი იყვნენ ჰოლივუდის ვარსკვლავები ზა ზა გაბორი, ლანა ტერნერი და ესთერ უილიამსი, ტოპ-მოდელები ლორენ ჰატონი და იმანი, ელიტის ქალბატონები პალომა პიკასო და თავადის ქალი რაძივილი. თუმცა ეს სია კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. რამდენიმე ხნის შემდეგ გონზალესი ტრაბახობდა: „კაცმა არ იცის, სად უფრო მწყალობდა ბედი — კორტზე თუ სიყვარულში“.

პროფესიონალური სპორტიდან ისევე მალე წავიდა, როგორც მოვიდა. 1961 წელს ლიგა მიატოვა. დაღლა მოიმიზეზა. მაგრამ ბოროტი ენები ამბობდნენ, ამის მიზეზი ჯეკ კრამერის 18 წლის ქალიშვილთან ახალი სასიყვარულო ინტრიგააო. ეს სირცხვილი ჯეკ კრამერმა ვერ გადაიტანა და გონზალესს ლიგიდან წასვლა უბრძანა. გონზალესი ამით არ გაღარიბებულა. საჩოგბურთო სკოლა გახსნა ჰოლივუდის გვერდზე პლაჟზე. აი, აქედან მოხვდნენ მის სასიყვარულო სიაში ჰოლივუდის ვარსკვლავები და მალე მილიონერი გახდა. მაგრამ, ის არ იყო მშვიდი ცხოვრებისთვის მოწოდებული და 1968 წელს ოცდათოთხმეტისა კვლავ პროფესიულ ჩოგბურთს დაუბრუნდა.

იმ, ჩოგბურთის „პირველ ღია წელს“ პანჩომ ნიუკომბს, როზუოლს, სმითს და ეშს მოუგო. მანამ ორმოცისა გახდებოდა, ერთი თვით ადრე ძლიერი, ლას-ვეგასის ტურნირი მოიგო. პროფესიონალური ჩოგბურთიდან 44 წლისა წავიდა, მაგრამ ჩოგანი არ შეინახა. გადავიდა ლოს-ანჯელესიდან ლას-ვეგასში, სადაც უდიდესი საჩოგბურთო სტადიონ „ელიზარ-პალას“ დირექტორი და თანამესაკუთრე გახდა. აი, აქ შეხვდა იგი აგასის ოჯახს. როგორც ხშირად ხდებოდა, მას აგასის უფროსი და რიტა აგასი შეუყვარდა. თუმცა მათს შორის ასაკში საკმაო სხვაობა იყო. (რიტა 19-ის იყო, პანჩო 47-ის). გონზალესი გადაირია და რამდენიმე ხნის შემდეგ მის მშობლებს რიტას ხელი სთხოვა, რაც აგასის არც თუ მდიდარმა ოჯახმა აღფრთოვანებით მიიღო. აგასის ოჯახმა ასე შეიძინა შესანიშნავი, და რაც მთავარია, უფასო მწვრთნელი თავისი ვუნდერკიდისათვის.

პანჩოს როლი აგასის ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში ძალიან დიდია. მან, გონზალესმა შეაყვარა აგასის შემტევი სანახაობრივი ჩოგბურთი, ბადესთან თამაში. მიუხედავად იმისა, რომ პანჩო რიტას გაეყარა, აგასისთან ურთიერთობა არ გაფუჭებია. სიცოცხლის ბოლომდე იგი ანდრეს მეგობარი და მრჩეველი იყო.

ჩოგბურთიდან წასვლის მერე პანჩო შეიცვალა. იგი არ ეხზუებოდა ფოტორეპორტიორებსა და ჟურნალისტებს და ბევრ ძველ მეგობარსაც შეურიგდა. ლიუ ჰოადი ხომ კვლავ მისი მეგობარი გახდა. სიმბოლურია, რომ ისინი ერთსა და იმავე დღეს გარდაიცვალნენ, ოღონდ ერთი წლის შემდეგ. გონზალესს კუჭის კიბო დაუდგინეს, მაგრამ თავისი ძლიერი ნების წყალობით კიდევ კარგა ხანს გაძლო. ის გარდაიცვალა 1995 წლის 3 ივლისს. დაკრძალვაზე პანჩოს ჩოგანი ჩაატანეს საფლავში.

მან დატოვა არამარტო 10-მილიონიანი ქონება, არამედ ხსოვნა გულშემატკივართა გულებში და როგორც ეპიტაფია, ისე ქლერს ლეივერის სიტყვები, დაკრძალვაზე რომ თქვა: „ის იყო ნამდვილი ლომი კორტზე. ჩოგბურთი დიადი თამაში სწორედ პანჩოს დარი ადამიანებით გახდა“.

თარგმნა **კოტე მგალობლიშვილმა**

## NBA-ის ჯინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწლიანი კონტრაქტი, თითო წელს 33 მილიონი, სულ კი 100 მილიონამდე. ვინ დგას ასეთი იღბლიანი გარიგების უკანო, იკითხავთ.

მას დევიდ ფალკი ჰქვია. მოთამაშეთა მენეჯერი და ყველაზე საძულველი და საშიში პიროვნებაა ამერიკულ პროფესიულ კალათბურთში. NBA-ში მას „ზეციურ მენეჯერს“ უწოდებენ და ამ მეტსახელით იგი საოცრად ამაყობს. ის ისეთივე ამოუცნობი და გიჟმაჟია, როგორიც მისი მრავალი კლიენტი.

„მე შემიძლია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ნებისმიერ ფირმას დავურეკო და დარწმუნებული ვარ, ფირმის შეფი, რაც უნდა დაკავებული იყოს, მაშინვე ტელეფონთან გაჩნდება, როცა გაიგებს, რომ მას მაიკლ ჯორდანის წარმომადგენელი ურეკავს“, — ამბობს ფალკი. ჯორდანი ერთ-



ერთი, თუმცა ყველაზე სახელოვანია იმ 30 პროფესიონალ კალათბურთელს შორის, რომელთაც დევიდი მფარველობს. „ვინც ჯორდანს მისი კარიერის დაწყებიდანვე მენეჯერობს, ის თავს კარგად უნდა გრძნობდეს“ — ამბობს პატრიკ იუინგი, რომელიც ჯონ სტოქტონის, კენი ანდერსონის, დიკემბე მუტომბოს და ალონზო მურნინგის მსგავსად, ფალკის „მარწუხებში“ იმყოფება.

ჯორდანის შემთხვევა ალასტურებს, რა გადარეულიცაა „NBA-ის დონ კინგი“. ჯორდანის 100 მილიონის გარდა, ის „ჩიკაგო ბულზის“ მატჩებზე გაყიდული ბილეთების თანხიდანაც ითხოვს წილს. ბულზელებს კი ბილეთებიდან 30 მილიონი მოგება რჩებათ. „ასეთი ამაყი და მედიდური კაცი ძნელად მოიძებნება. ის არასოდეს იხევს უკან“ — ამბობს ჩიკაგოელთა მენეჯერი ჯერი კრაუზეჩი. ჯორდანის კონტრაქტი მომავალ წელს მთავრდება, კალათბურთელი კი არხეინადაა და ფალკის სიგიჟეები არ ანაღვლებს. „1988 წლიდან „ჩიკაგო ბულზისთვის“ არანაირი ზედმეტი გასამრჯელო არ მითხოვია. ამით გუნდმა უდიდესი სარგებელი ნახა. ახლა კი მოუწევთ ჯიბეზე ხელის გაკვრა“ — თვლის მაიკლი. ჯორდანი წელიწადში მხოლოდ სამ მილიონს იღებდა და ახლა მენეჯერის მეშვეობით თავისი ჰონორარის გაზრდა სურს.

„მსურს, კალათბურთელში იმდენი ფული ავიღო, რამდენიც შესაძლებელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კია. ამიტომაა, რომ თითქმის ყველას ვძულვარ, მაგრამ ეს ჩემი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია“ — თვლის დევიდ ფალკი. სხვა და უარყოფითი აზრი საკუთარი პერსონის მიმართ ფალკს ფეხებზე ჰკიდია. ასეთი გულარხეინობის მიზეზი ის დიდი გასამრჯელოებია, რასაც იგი მოთამაშეთა გაყიდვით იღებს ხოლმე. კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის დაახლოებით 20 პროცენტს ფალკი იჯიბავს. ჯორდანი მას 15 პროცენტს უხდის. „მე რომ დევიდთან ერთად მემუშავა, ნამდვილად ვერ შევეგუებოდი მას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მისი დიდი მადლიერი ვარ“, — ამბობს ჯორდანი. სამადლობელო კი ნამდვილად აქვს. მენეჯერის მარიფათის გამოისობით მაიკლის წლიური შემოსავალი რეკლამებიდან 40 მილიონ დოლარს შეადგენს. ის ამით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სპორტსმენია.

ამ ზაფხულს დევიდ ფალკი ცხოვრებაში ყველაზე დიდი ღლავის დაჭერას აპირებს: ჯორდანში, სტოქტონში, მუტომბოში, მურნინგში და ჰოვარდში 350 მილიონი დოლარის შოვნას გეგმავს.

კრივი



# ხვალ ლას-ვეგასში დიდი ჩხუბია



# ბრუნო — ტაისონი

კვირას, ჩვენებურად გამთენიისას, მსოფლიოს სამორინო დედაქალაქ ლას-ვეგასში დიდი კრივი გაიმართება. „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში“ კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) საჩემპიონო სარტყელს ბრიტანელ მძიმეწონოსან ფრენკ ბრუნოს შეეცილება ამერიკელი ექს-ჩემპიონი, ნაციხარი და გამუსლიმებული მაიკ ტაისონი.

მოკრივეები კარგა ხანია, ლას-ვეგასში არიან. ამ ერთი კვირის წინ ამერიკელმა საჯარო ვარჯიში კი გამართა, მაგრამ ისე უხალისოდ ირჯებოდა, რომ მედიამ გამოლანძღა. ასე არ უნდაო და ტაისონმაც გააუქმა მატჩამდელი მინი-შოუები.

ბრუნომ, პირიქით, მოხიბლა ხალხი. ორშაბათის ვარჯიშობა როკ-მუსიკის აკომპანიმენტით გამართა. როგორც მისი იმპრესარიო ფრენკ ვორენი ირწმუნება, ბრიტანელი ზანგი ასეთ ფორმაში აქამდე არასოდეს ყოფილა: სპარინგის 170 რაუნდი ზომ გაუსრულებიაა და ფსიქოლოგიურადაც ბევრად უკეთაა, ვიდრე 1989 წლის თებერვალში, როცა ტაისონმა მეხუთე რაუნდში დაანოკაუტა.

კრივისწინა ბოლო პრეს-კონფერენცია ოთხშაბათს გაიმართა. ტაისონის გადია დონ კინგმა სამხრეთი აფრიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა მიიპატიჟა შერკინების საცქერად. ტაისონს კეტბურთის კეპი ეხურა, ბრუნო კი ბრიტანეთის დროშის დარად შეფერილ სავარჯიშო კოსტიუმში გამოწყობილიყო.

სიტყვა კინგმა ითხოვა და 13 წუთი იძახა, „ჰოო, ახლავე დავიწყებ, ესე იგი, ასე შემდეგ“ და მისთანები. მერე ტაისონმა 20 წამი იბლუყუნა, ბრუნომ — ცოტა მეტი ხანი.

„ემ-ჯი-ემის“ არენის 16 ათასივე ბილეთი კარგა ხნის გაყიდულია. ბრუნოს მხარდასაჭერად ბრიტანეთიდან 5 ათასი კაცი ჩასულა. რუპერტ მერდოქის საბონენტო „ფეიფერ-ვიუ“ ტელევიზია 30 მილიონ ამერიკულ ოჯახს აყურებინებს ჩხუბს, თავად ლას-ვეგასში, შერკინების დიდ ეკრანზე ცქერა კი სულზე 50 დოლარი ღირს.

ჩოგბურთი

# მუსტერი ისევ პირველი ჩოგანია, მაგრამ რა ხნით?

ვაჟთა კლასიფიკაციაში კვლავ არასტაბილური ვითარებაა. ამ ოთხი კვირის წინ ავსტრიელი თომას მუსტერი ერთი კვირით რომ გახდა პირველი ჩოგანი, ჩვენც გავკენწლეთ რეიტინგის დათვლის წესი. თითქოს ესმაო, მუსტერმა (ფოტოზე) წინა კვირას მეხიკოს ტურნირის ფინალში 7:6, 6:2 დაამარცხა ჩეხი ირჟი ნოვაკი, კარიერის 36-ე ტიტული მიითვალა და კვლავ კენწეროში მოექცა კლასიფიკაციას, რადგანაც იმდროინდელი პირველი ჩოგანი, ამერიკელი პიტ სამპრასი დაშავდა და როტერდამის შეჯიბრს მეოთხედფინალში გამოაკლდა.

დასავლეთ ნახევარსფეროში წინა კვირაში ვაჟთა კიდევ ერთი შეჯიბრი იყო — სქოთსდეილში (არიზონა, აშშ). იქაურ ფინალში სამხრეთაფრიკელმა ვეინ ფერეირამ, მსოფლიოს მე-10 ჩოგანი რომაა, დაამარცხა ჩილელი მარსელო რიოსი 2:6, 6:3, 6:3 და წელს პირველი, სულ კი მე-12 შეჯიბრი მოიგო.

**ამ კვირაში** გამოჩენილი ქალ-ვაჟნი ერთად შეყრილან კალიფორნიას, ინდიანველზში, სადაც ქალები ერთმანეთს ქრის ევერტის თასს ეცილებიან, ვაჟები კი — ჩემპიონთა თასს.

როგორც წინა „სარბიელშიც“ შევნიშნეთ, ევერტის თასის ორგანიზატორებმა ვაილდ-ქარდი რომ მისცეს შტეფი გრაფს (გერმანია), ამერიკელმა მონიკა სელეშმა უმალ ტრავმა მოიმიზეზა და აღარ იასპარეზა. გრაფმაც გაიჯეჯილა: ნორჩი შვედის — ტრისკას 6:0, 6:1 განადგურების შემდეგ 6:3, 7:5 მოუგო ნორჩი ვილიამსის მძლეველ ჟული ალარ-დეკიუჟის (საფრანგეთი), მერე 66 წუთში 6:4, 6:1 აჯობა ამანდა კეტცერს (სამხრეთი აფრიკა) და ნახევარფინალში გავიდა. იქვეა იაპონელი კიმიკო დატე (4), ვინაც მეოთხედფინალი 6:7, 6:3,



6:3 მოუგო ფრანგ ნატალი ტოზიას, რომელმაც წინა ეტაპზე 7:6, 6:4 გააგდო შარშანდელი ჩემპიონი მერი-ჯო ფერნანდესი (8). მეოთხედფინალში გავიდა კონჩიტა მარტინესიც (ესპანეთი, 2), ვინაც 6:0, 6:3 დაამარცხა აი სუგიამა (იაპონია).

ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ კვლავ სუსტად თამაშობს გერმანელი ბორის ბეკერი, ჩემპიონთა თასზე მე-4 ნომრად რომაა განთესილი. პირველი წრიდან ბორისი თავისუფალი იყო, მეორეში კი ესპანელ კარლოს კოსტასთან 3:6, 5:7 დამარცხდა. თავიდანვე გავარდა უკრაინელი ანდრეი მედვედევიც (11), ვისაც ესპანელმა ხორდი ბურილიომ 6:3, 4:6, 7:5 მოუგო. სამაგიეროდ, გრიალ-გრიალით მიდის პიტ სამპრასი (1), ვისაც პირველ წრეში მეტოქე არა ჰყავდა, მესამეში კი ესპანელ ალექს კორეჩას კოჭი ეტკინა და პიტს უთამაშებლად დანებდა. თუ პიტი ჩემპიონთა თასს მოიგებს, შესაძლოა ორშაბათიდან ისევ მსოფლიოს პირველი ჩოგანი შეიქნეს.

დასასრულ, ცნობილი სადოპინგო სკანდალის შესახებაც. შვედი მატს ვილანდერი და ჩეხი კარელ ნოვაჩეკი სასამართლოში უჩივიან საერთაშორისო ფედერაციას, კოკაინს საერთოდ არ ვეტანებით და ვიდრე ფაქტებს გადაამოწმებდეთ, რადა გვჭრით თავს, ნარკომანობას რომ გვაბრალებთო.

ირაკლი ნინუა

რაგბი

# ქარლინგის გედის სიმღერა

**ხვალ** ხუთი ერის პირველობის ბოლო ტურია. ჩემპიონი ან საფრანგეთი გახდება, ან ინგლისი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ინგლისი შინ რა ანგარიშით მოუგებს ირლანდიას, საფრანგეთი კი — სტუმრად უელსს (თუკი საერთოდ მოუგებს!). საფრანგეთს ინგლისთან 21 ბურთიანი ფორა აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 60:56 | 5- 3 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 74:41 | 8- 3 | 4 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 51:39 | 2- 2 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 50:78 | 6-11 | 2 |
| უელსი | 3 | 0 | 0 | 3 | 46:67 | 5- 7 | 0 |

ინგლისსა და ირლანდიას ბოლოსწინა ტურში გამარჯვებების შემდეგ შემადგენლობები არ შეუცვლიათ, უელსმა და საფრანგეთმა კი სამ-სამი კაცი შეცვალეს. უელსმა 10 ნომრად არველ თომასის ნაცვლად აღადგინა გამოცდილი ნილ ჯენქინსი, საფრანგეთმა კი შუამარბობა დაშავებულ დამრტყმელ თიერი ლაკრუას ნაცვლად ანდო კოლორიტულ მობურთალ სტეფან გლასს. გარდა ამისა, კვაჭად ჟან-მიშელ გონზალესის ნაცვლად ერთი პირობა დააწინაურა მარკ დერუჟმონი, მაგრამ ამას ბოლო საკლუბო თამაშში კოჭი ელრძო და გონზალესმაც დაიბრუნა № 2 კვართი.

თვიქნემში ინგლისი — ირლანდიის მატჩში მასპინძელთა ნაკრებს უკანასკნელად უკაპიტნებს 30 წლის შუამარბი ვილ ქარლინგი, თუმც გუნდის წევრად მერეც დარჩება.



ქარლინგმა ნაკრებში პირველად 1988 წლის იანვარში ითამაშა (საფრანგეთთან, პარიზში 9:10), იმავე წლის ნოემბერში კი, მერვე ტესტში (ავსტრალიასთან, თვიქნემში 28:19), უკვე კაპიტნად მოგვევლინა.

ნაკრების წინამძღოლობის სიმრავლით ვილი მსოფლიო რეკორდსმენია. რვა სეზონის მანძილზე მას 58-ჯერ უკაპიტნია გუნდისთვის. ამ მატჩებიდან ინგლისმა მოიგო 43, სამჯერ — 1991, 1992 და 1995 წლებში ხუთი ერის პირველობაზე დიდი სლემით გაიმარჯვა, 1991 წლის მსოფლიო თასზე — ფინალში, შარშანდელზე კი — ნახევარფინალში გავიდა.

ქარლინგი, ცოტა არ იყოს, თავკერძა პიროვნებაა, რის გამოც შარში ხშირად გახვეულა. 1991 წელს მედია ნაკრებიდან რომ დაიფრინა, დატუქსეს. შარშან ინგლისის რაგბის მამები საჯაროდ მოიხსენია „ბებერ კუილებად“, რისთვისაც მყის მოხსნეს, მაგრამ გუნდი რომ აჯანყდა, უმალ აღადგინეს. მერე გახმაურდა მისი და პრინცესა დაიანას ტრფობა, რის გამოც ვილს ცოლი ჯულიაც გაექცა.

ამდენმა აურზაურმა ქარლინგს სახელი გაუტეხა. მის გადადგომაზე შემოდგომიდან მსჯელობდნენ, მაგრამ მანამ აღროვეს, ვიდრე თავად არ დააპირა წასვლა.

კაპიტანმა თავისი განზრახვა ასე ახსნა მავან საკვირაო გაზეთში, რომლის მესვეტეც თავადაა: აქაო და ინგლისს 1999 წლის მსოფლიო თასისთვის ახლავე სჭირდება ახალი კაპიტანი, რადგანაც მე იქამდე ვერ მივატანო. და კიდევ, ისლა მაინტერესებს, თუ სხვისი წინამძღოლობით როგორ ვითამაშებო.

# აი, გიჟი!



ვიდრე ქრის ჯექსონი ერქვა, მაჰმუდ აბდულ რაუფი ოდენ კალათბურთელობით იყო ცნობილი. ეს კაცი „დერვენ ნაგითსის“ მცველია და ჯამაგირად წელიწადში **2,6** მილიონ დოლარსაც იღებს.

**1991** წელს ჯექსონი რაღაც ჭირად ისლამზე მიქცეულა და მაგრად გაურეკია. მაჰმუდის აზრით, შეუთავსებელი ყოფილა ალაჰის მსახურება და ამერიკული ღირებულებანი. კალათბურთელს ქვეყნის ზოლებიან-ვარსკვლავებიანი დროშა ჩაგვრისა და ტირანიის განსახიერებად მიაჩნია და ვერც აშშ-ის ჰიმნსა ჰგუობს.

კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში (ნბა) წესად ჰქონიათ მატჩამდე ჰიმნის დაკვრა. ეს თურმე არ სიამოვნებს აბდულ რაუფს და მაშინ, როცა სხვები დინჯად დგანან და თუ არა მღერიან, განაბულნი ყურს მაინც უგდებენ ჰანგს, მაჰმუდი აქეთ-იქით ბორიალს მოყვება, ამ ბოლო დროს კი იატაკზე დაჯდომაც დაუმულამებია, რაც დამსწრე საზოგადოებას თურმე სულაც არ მოსწონს.

ასოციაციას თავისი წეს-კანონი აქვს. მუსლიმის თავხედობა ყელში რომ ამოუვიდათ, კალათბურთის მამებმა მაჰმუდს ჯამაგირი მოუხსნეს, ეგებ ჭკუაზე მოვიდესო.

საქმე ერთობ სერიოზულად ყოფილა. ამერიკაში დემოკრატია ისე ესმით, რომ კაცს სახელმწიფო დროშის საჯაროდ დაწვისთვისაც კი ვერ დაადანაშაულებენ. ამიტომ საკმარისია მაჰმუდ აბდულ რაუფმა იჩივლოს, რომ სასამართლო ალბათ მას მიემხრობა — რას ვერჩით ამ კაცს, თუ უნდა დაჯდება და თუ უნდა, ყირაზეც დადგებაო!

ემზარ არაყიშვილი

## აქეთური, იქითური და ასე შემდგომ და მისთანებები

**ცურვა** ამერიკელები ვეღარ ვარგიან. ატლანტის ოლიმპიადის შესარჩევ საშინაო შეჯიბრში, ინდიანაპოლისში რომ გაიმართა, 1920 წლის შემდეგ პირველად ვერ დამყარდა ვერცერთი მსოფლიო რეკორდი, 26 სახეობიდან კი მხოლოდ ექვსის გამარჯვებულის შედეგი სჯობდა ოთხი წლის წინანდელს. ნაკრებში ვერ მოხვდა ბარსელონის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი და კიდევ ორი მედლის მფლობელი, ბატერფლაისა და კომპლექსურის ოსტატი, 23 წლის სამა სანდერსი, ვინაც ბოლო ათი თვე გამალებული ემზადებოდა. ასევე ორგზის ჩემპიონი ჯენი თომსონი მხოლოდ ესტაფეტაში იასპარეზებს. ვერც ჯესიკა ფოში იცურებს ატლანტაში. მართალია, მშობლების ჩარევის შემდეგ აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია გამოსაცდელი ვადით შეუცვალა, მაგრამ ჯესიკა მაინც ვერ მოხვდა გუნდში, რაც ამერიკელებს გულში კიდეც გაეხარდებოდათ, ჩინელები ისე ილრინებოდნენ. სულ ბარსელონაში 11 ამერიკელმა ქალმა მოიპოვა მედალი. მათგან ერთადერთი — ოთხგზის ჩემპიონი ჯანეთ ევანსი იასპარეზებს ატლანტის ოლიმპიადის პირად შეჯიბრში.

**მძლეოსნობა** 23 წლის კენიელი ვილსონ კიპკიტერი კარგა ხანია დანიაში სახლობს და ამ ქვეყნის სახელით შარშან, გეტებორგში 800 მეტრზე რბენის მსოფლიო ჩემპიონიც გახდა, მაგრამ იმის გამო, რომ კენიის პრეზიდენტ დანიელ არაპ მოის უთქვამს, უსიკვდილოდ სამშობლოს სახელით უნდა იასპარეზოსო, ატლანტის ოლიმპიადაში მორბენლის მონაწილეობა საეჭვო შექმნილა. ოლიმპიური ქარტიის მიხედვით თამაშებში მონაწილეობა შეუძლიათ მოქალაქეებსა და უცხოეთში გადახვეწილ იმ პირებს, რომლებსაც ყოფილი სამშობლო ნებას დართავს. ზვიადი არაპ მოის დაყოლიება შეუძლებელია, დანიის პარლამენტში კი მძლეოსნობა ისე ვერ ჰყვარებიათ, კიპკიტერს დეკრეტით რომ უბოძონ მოქალაქეობა.

**გოლფი** გუშინ დუბაიში გაჩაღდებოდა ევროპული ტურის მორიგი შეჯიბრი — „უდაბნოს კლასიკური“. მასპინძლებისთვის პატივი რომ ეცათ, რამდენიმე ბობოლა მონაწილე დაყაბულდა სამშაბათს გაემართა მცირე საჩვენებელი სამატჩო შეჯიბრი, მაგრამ საქმეში ავდარი ჩაერია: დუბაიში წლის მანძილზე სულ 89 მილიმეტრი ნალექი მოდის, ორშაბათსა და სამშაბათს კი ერთბაშად 60 მმ მოვიდა, რამაც სეირი ჩაშალა.

**ლიგის რაგბი** ავსტრალიის ლიგამ (არლ) ხალიჩას ბეჭებით გააკრა რუპერტ მერდოქის მიერ დაფინანსებული მეამბოხე სუპერ-ლიგა, არლ-ს რვა ბობოლა კლუბი რომ წაპგვარა. სიდნეის ფედერალურმა სასამართლომ ორშაბათს დამატებით დაადგინა, რომ ავსტრალიის სუპერ-ლიგა ვერ ამოქმედდება 2000 წლამდე (!!!) თუმც არაა აკრძალული ევროპის სუპერ-ლიგის თამაშების ავსტრალიის ტელეარხებით ჩვენება, ამ რეპორტაჟებში არლ-დან გადაბირებული პირები მაინც ვერ იმონაწილევებენ. ერთი სიტყვით, აპელაციის მიუხედავად სუპერ-ლიგა საბოლოოდ დამარცხდა, არლ-ის სეზონი კი სამი კვირის დაგვიანებით, ამ უქმეებზელა იწყება.

**ამერიკული ბურთაობა** „კლივლენდ ბრაუნზი“ ბოლტიმორში რომ გაიყიდა, სამრეწველო ქალაქი ალშფოთდა, საბურთაო ტრადიციას როგორ მოვშლითო. კლივლენდელებს მხარი აუბეს ეროვნულ ლიგის (ნფლ) ბოსებმა და შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც ქალაქს 1999 წლისთვის ახალი გუნდიც ეყოლება და ახალი სტადიონიც ექნება.

**კრიკეტი** მასპინძელთა ქაჯობა და ავი ზნე თვალნათლივ წარმოჩნდა VI მსოფლიო თასზე, პინდუსტანში რომ მიმდინარეობს. შაბათის მეოთხედფინალში პაკისტანმა სტუმრად რომ წააგო ინდოეთთან, ქვეყანაში საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო. ერი დამნაშავეთა დასჯას ითხოვს: ერთი, რომ პაკისტანი მსოფლიოს ჩემპიონი იყო, და მეორეც, ქვეყანა ინდოეთთან უბრადაა და მსოფლიო თასი რომ არა, იქ გუნდს არც მიავლენდა. პაკისტანის გუნდის წევრებს ხალხი ურეკავს და მოკვლას ექადნება. საშინელი რისხვა დაატყდა თავს კაპიტან ვაზიმ აკრამს, ვისაც ინდოეთთან ტრავმის გამო არ უთამაშია. ხალხს ეჭვიც არ ეპარება, რომ ვაზიმმა ისიმულანტა. ამიტომ იყო, კაპიტნის სახლს ალყა რომ დაარტყა და ქვები, კვერცხები და ხილი დააყარა. ერთი ქომაგი სულ მთლად გადაირია და სასამართლოშიც უჩივის ვაზიმს პროფესიული დაუდევრობისათვის, რაც უბედური შემთხვევის მიზეზი შექნილა. პაკისტანელებს არც ინდოელები ჩამორჩნენ. მეზობელს რომ სძლიეს, გაიხარეს, მაგრამ ოთხშაბათს, კალკუტის 110-ათასიან „იდენ გარდენზე“ კიდევ ერთ მეზობელთან — შრი-ლანკასთან მოუწიათ ნახევარფინალში შეჯიბრი. თერთმეტი დღის წინ ლანკელებმა დელში უკვე დაამარცხეს ინდოეთი, კალკუტაში კი თუმც ცუდად დაიწყეს (35 გარბენი 3 ბჭის სანაცვლოდ), დასილვასა (66) და მაპანამას (58) წყალობით 50 წყებაში 251 გარბენი მაინც მოაგროვეს. ამის საპასუხოდ ინდოეთმა მაგრად შეუბერა და 93 (1) იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლანკელმა სანათ ჯაისურიამ სამი კაცი გაუგდოთ, მათ შორის თენდულკარი და მანდრიკო, ინდოელებმა 35-ე წყებაში 120 (8)-ს მიაღწიეს. ხალხი მიხვდა, რომ დარჩენილ 15 წყებაში ინდოეთი მიზანს — 252 გარბენს ვეღარ ეწეოდა და მოედანზე ბოთლების, ქვებისა და მაშხალების სროლა დაიწყო. თამაში შეწყდა, მერე განახლდა, მაგრამ რეფერი ქლაივ ლოიდმა ბოლოსდაბოლოს ორივე გუნდი გაიყვანა მოედნიდან. შრი-ლანკამ გარბენთა უკეთესი საშუალო მაჩვენებლის წყალობით გაიმარჯვა და ფინალში გავიდა. არეულობა ქალაქსაც მოედო. გუნდები ძლივს გააპარეს სტადიონიდან. ზოგი ინდოელი კრიკეტე იცრემლებოდა, ზოგიც ჩხუბობდა, ბოლომდე თამაში რატომ არ გვაცალა მსაჯმაო — აქაო და შეუძლებელს შევძლებდითო. მეორე ნახევარფინალში წუხელ მაპალში (ჩანდიგარპი, ინდოეთი) თამაშობდნენ ავსტრალია და ვესტ-ინდოეთი. ორშაბათს პირველმა მადრასში 6 ბჭითა და 13 ბურთით მოუგო ახალ ზელანდიას, ვესტ-ინდოეთმა კი ყარაჩში 19 გარბენით აჯობა უპირველეს ფავორიტ სამხრეთ აფრიკას და გააგდო. ამ მატჩებში ავსტრალიელმა მარკ ვორმა 110 გაახერხა, ვესტ-ინდოელმა ბრაიან ლარამ — 111. ფინალი კვირას, ლაპორში (პაკისტანი) გაიმართება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29